საერთო გაზეთი

№33 (444) • 13 სექტემბერი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

მიხეილ შეფანილი - უკრაინისთვის შეფენილი ახალი ბომბი

კობა არაბული:

ქართული ნიურნბერგის პროცესი უნდა შედგეს და სააკაშვილი ერისა და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებებისთვის უნდა გასამართლდეს!

„ქართულმა ოცნებამ“ უნდა აღასრულოს ქართველი ხალხის ნება და აკრძალოს ნაცების ფაშისტური პარტია



რამაზ საყვარელიძე:

მტირალა ერი

თუ ხუნვეიბინაციის და თაობების ჩარეცხვის პროცესი არ შევაჩერეთ, ქვეყანა კვალიფიკაციას და მასთან ერთად განვითარების პერსპექტივასაც დაკარგავს...

რომან რურუა:

რატომ დავანგრიეთ ქვეყანა?

აშშ-ს პრეზიდენტი ტრამპია, მაგრამ ლიბერალების მეგობარი იან კელი საქართველოს დღემდე ობამას რეჟიმში აცხოვრებს

„თრიალეთის კოდალა“

მიეცით „ჰუმანისტ“ ელისაშვილს ძალაუფლება და ის კბილებსაც ჩაგიმტვრევთ, თვალებსაც ამოგკორტნით და ცხეშიც ჩაგსვამთ!

მიხეილ შეტანილი - უკრაინისთვის შეტენილი ახალი ბომბი

მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში შევიდა, თუმცა კი არ შევიდა, კუნთმაგარმა ტიპებმა იღლიაში ამოიჩარეს და შეიტანეს.

შეიტანეს როგორც მუთაქა, როგორც თივით გატენილი ტომარა, პოლონეთიდან აქეთ, უკრაინაში, გადმოათრიეს, მერე იღლიაში ამოიჩარეს და ლვოვისკენ წაიცუნცულეს.

ამ სპეცოპერაციის მერე სააკაშვილს თამამად შეიძლება ვუწოდოთ მიხეილ შეტანილი.

უკრაინა-პოლონეთის საზღვართან კვირას მომხდარი ამბავი საქართველოში ერთხელ უკვე მოხდა 2003 წლის ნოემბერში.

სააკაშვილი მაშინაც ზუსტად ასე შეიტანეს საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში და საქართველოს ცხრა წლით შეტენეს.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენი წლით შეტენეს უკრაინას მიხეილ შეტანილი და ამ შეტენვის შედეგად კიდევ რამდენი ახალი უბედურება ელის ისედაც ბედკრულ უკრაინას, რომელსაც ისიც კი ვერ გაურკვევია, რა მიზნით და რისთვის სტენიან საეჭვო ბიოგრაფიის და საეჭვო რეპუტაციის ამდენ უცხოტომელს...

უკრაინას დიდი სინანულისა და დიდი იმედგაცრუების ჟამი წინა აქვს, მანამდე კი იმაზე ღირს დაფიქრება, რატომ ჰგავდა ასე ტყუპისცალივით 2017 წლის 10 სექტემბრის სცენარი საქართველოში 2003 წლის 23 ნოემბრის ვარდების რევოლუციის სახელით განხორციელებულ სცენარს?

ერთი წალენჯიხა არ ეწერა მიხეილ შეტანილის ავტობუსს და კობა ნარჩემაშვილის ნაცვლად ახლა ვიღაც მსუქან გენერალს „ეკაჩავებოდა“ სააკაშვილი, თორემ სხვა ყველაფერი იგივე იყო „ისტორიული“ ფრაზით — ხელი ჩასწიე“-თი დაწყებული და მუქარის სიტყვებით დამთავრებული.

იმ პირდაპირ რეპორტაჟს თუ მივადევნებდით თვალს, რომელსაც სააკაშვილის ჯიბის ტელევიზია „რუსთავი-2“ შემთხვევის ადგილიდან თუ ადგილებიდან გადმოსცემდა, ცხადი იყო, რომ სააკაშვილის უკრაინაში შესვლის სპეცოპერაციას, რომლის დეტალები რამდენჯერმე შეიცვალა, სააკაშვილი კი არა, რაღაც სხვა ძალები უწევდნენ კოორდინაციას, რომლებიც, როგორც პოლონეთში მოძრავ სააკაშვილის კოლონას, ასევე უკრაინის ტერიტორიაზე დაბანაკებულ ე.წ. სააკაშვილის მხარდამჭერთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი მასის გადაადგილებას მაღალპროფესიონალურ დონეზე არეგულირებდა.

გასაოცარი იყო, იმდენად სინქრონულად და ორგანიზებულად ხდებოდა ეს...

რა ხდება ამ დაულაგებელ და აბურდულ-დაბურდულ მსოფლიოში, ვინ გეგმავს, ვინ აფინანსებს, ვინ მართავს ამ მასშტაბურ სპეცოპერაციებს და ვინ დაათრევს აღმა-დაღმა ამ ნახევრად შეშლილ სააკაშვილს მის ბანდასთან ერთად ამა თუ იმ ქვეყანაში არეულობის, დესტაბილიზაციის, სახელმწიფო გადატრიალებების მოსამზადებლად და სისრულეში მოსაყვანად?

ისეთი რა საერთაშორისო მაფია მოქმედებს ერთდროულად ყველა კონტინენტზე, რომელიც დემოკრატიის საახელით, სამართლიანობის სახელით, ადამიანის უფლებათა დაცვის სახელით ათას უმსგავსობას ჩადის?

ბოლოს და ბოლოს, ისეთი რა ძალა მფარველობს სააკაშვილს, რომ საქართველოში ჩადენილი უმძიმესი დანაშაულების გამო დღემდე პასუხი ვერ ვაგებინეთ, ამასობაში კი ეს ძებნილი კაცი უკრაინაში „მიავლინეს“ წესრიგის დაასამყარებლად.

რა ჰქვია ყოველივე ამას და რით შეიძლება ამის ახსნა?

საქმეს ისეთი პირი უჩანს, შეიძლება უკრაინაში შეტანილი მიხეილი, საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, სუვერენულ სახელმწიფოში ძალადობრივი გზით შეჭრისთვის, დაიჭირონ და გაასამართლონ.

ახლა მთავარია, ეს უკრაინაში შეტანილი მიხეილი ჩვენ არ მოგვიგდონ უკან...

ამასწინათ ჭკუისკოლოფი უსუფაშვილი გვმოძღვრავდა, ამდენს ნუ ვლაპარაკობთ, დავანებოთ თავი ამ ავანტურისტ სააკაშვილს, ყურადღებას ნუ მივაქცევთო.

ჩვენ კი დავანებებთ თავს, მაგრამ თვითონ რომ არ გვანებებს თავს ეს მოუშორებელი ჭირი, ეს მოურჩენელი სახადი?!

შეცდომაა, თუ ვინმე სერიოზულად ფიქრობს, რომ სააკაშვილის ეპოქა საქართველოში დამთავრდა.

მხოლოდ სააკაშვილი არ არის ის, რაც სააკაშვილის სახელით მხოფლიო ასპარეზზე ხდება.

ამიტომაც, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ უკრაინისთვის შეტენილი მიხეილი ჩვენ არ შემოგვტენონ უკან.

დაბოლოს, ახლა ხომ მაინც მიხვდით, ქართველებო, 2012 წელს რა ცხრათავიანი ურჩხული მოაშორა საქართველოს ბიძინა ივანიშვილმა?

ივანიშვილი რომ არა, ეს ურჩხული დღესაც აქ, საქართველოში იქნებოდა, თუმცა, იქნებოდა თუ არა მის მიერ გასხვისებულ-გაფეშქაშებული ქართული სახელმწიფო, აი, ეს კიდევ საკითხავია...

ვახტანგ ხარჩილავა

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავლის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

ქართული ნიურნბერგის პროცესი უნდა შედგეს და სააკაშვილი ერისა და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებებისთვის უნდა გასამართლდეს!

„ქართულმა ოცნებამ“ უნდა აღასრულოს ქართველი ხალხის ნება და აკრძალოს ნაცების ფაშისტური პარტია

რა უნდა იყოს მთავარი ბრალდება ამ ჯალათი-ავანტურისტისა და მის მომხრეთა სექტისთვის, რომელთაც წარმოშვეს XXI საუკუნის ახალი ფაშიზმი და ახალი „ნიურნბერგის“ აუცილებლობა?!. ეს კითხვა თანდათან მწვავედ დგება.

ახლა, როცა საუბარია სააკაშვილის ექსტრადიციაზე და ეს დღე ახლოვდება, ალბათ, სააკაშვილის პროცესი ისეთივე უნდა იყოს, როგორიც ნიურნბერგის პროცესი. ბრალდება: დანაშაული ერისა და კაცობრიობის წინაშე...

ეს პროცესი უნდა იქცეს არა ოდენ სააკაშვილის, არამედ ერთიანი ნაციონალური სექტის, მისი განაყოფების და თანამოაზრეთა დასჯის პროცესად! ამ პროცესში მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელმა ერმა თავისი მართლმსაჯულრბის ისტორიული გამოცდილებით, რჯულის კანონებით, ტრადიციული და უახლესი სამართლებრივი ცოდნით... ბოლოს და ბოლოს, ეს სასამართლო ჩვენ უნდა ჩავატაროთ სააკაშვილის ჩამოყვანის გარეშეც.

სააკაშვილის დანაშაულთა ნუსხა კარგად ჩამოაყალიბა ვახტანგ ხარჩილავამ „საერთო გაზეთის“ ფურცლებზე დაბეჭდილ წერილში: „დიდი ღალატის ანატომია“... თქვა ბევრი რამ ჩინებული და ბევრი რამ ართქმულიც და მიზეზთა გამო დაფარული და მიჩქმალული!!!

მე მინდა კიდევ ერთხელ ჩამოვთვალო სააკაშვილის დანაშაულებათა ნუსხა და დავყო ორ კატეგორიად — შედარებით ნაკლები ცოდვანი და უფრო აღმატებული დანაშაულებანი, გადაზრდილი სამშობლოსათვის გაუგონარ ღალატში, რომლის მსგავსი მაგალითი, ჩადენილი ერთი პირის მიერ, ჩვენმა ისტორიამ არ იცის.

დავიწყოთ პირველიდან:

— საყურადღებოა მისი შიზოიდური აგრესია თავიდანვე, მისი შეჭრა პარლამენტში, „მამა-მარჩენალის“ ჭიქის დაცლა და დაქცევა. ეს დასაწყისი ავბედითი იყო...

ასეთივე იყო ნაცების აჭარაში შეჭრა და ასლან აბაშიძის კერძო (თუ სახელმწიფო) ქონების დარბევა და ბარბაროსული მიტაცება მისი და მისი ვანდალების მიერ...

ყველას გვახსოვს, როგორ ჯდებოდნენ ასლან აბაშიძის ჟიპებში და თურმე როგორ იტაცებდა მის იტალიურ ფეხსაცმელებსაც კი გიგი უგულავა. როგორ აოხრებდნენ გიენებივით ზანური თხების უნიკალურ ფერმებს და კავკასიური ნაგაზების აქ მოშენებულ ჯიშს...

ეს პირველივე სადისტურ-შიზოიდური სიმპტომები მეტად სახიფათო აღმოჩნდა და სწრაფად გავრცელდა მთელი საქართველოს მასშტაბით — პატარკაციშვილის, ხალვაშის თუ სხვათა ქონების დარბევით და მიტაცებით!

„პროსკრიპციები“ და სააკაშვილის „ცენტურიონების“ მიერ ადამიანების საწოლებიდან აყრა და სადღაც წაყვანა, წიოკი, რბევა, წართმევა, კვლა, დილეგები და მორგები „აპოკალიფსად“ უქცია და უზნეო ზნენი დაამკვიდრა.

— რა თქმა უნდა, მან, სააკაშვილმა, გადააჭარბა ძალაუფლებას ყოველ სფეროში: მოირგო კანონები საკუთარ თავზე, ხელყო და დახარჯა სახელმწიფო ქონება პირადი ინტერესებისთვის...

— რა თქმა უნდა, მან ღიად, საჯაროდ გასცა ნულოვანი ტოლერანტობის ბრძანება: „ესროლეთ ყველას, ყველგან, პირდაპირ და

დაუნდობლად“... რასაც მოჰყვა უამრავი უდანაშაულო, ქუჩაში ჩახოცილი ახალგაზრდების მსხვერპლი და სისხლი...

— მან ციხეებში ჩაყარა არასრულწლოვანი მოზარდები (ბავშვები) ჰურის, ლიმონათის, ზოგადად, საჭმლის მოტაცებისთვის და სამუდამოდ დაღუპა

— რა თქმა უნდა, მან გასცა მიტინგების ბარბაროსული, ვანდალური დარბევის ბრძანება, რასაც მოჰყვა მშვიდობიან მოქალაქეთა დასახიჩრება და მსხვერპლი, სასაფლაოებზე თუ სახლის სახურავებზე შემოწყობილი გადამალული მკვდრები...

— რა თქმა უნდა, მან გასცა (ეს საჯაროდ გამოაცხადა!) სვანეთის კოშკებზე სარაკეტო იერიშიც და აფრასიძეების ამოწყვეტის ბრძანება!

— მანვე გასცა ტელევიზიების დარბევის, დახურვის, მათი ქონების განადგურებისა და ექსპროპრიაციის ბრძანება და, ზოგადად, მოქალაქეთა კერძო საკუთრების ხელყოფა ნორმად აქცია!

— რა თქმა უნდა, მან გასცა საპროცესო გარიგებებით, ნოტარიუსებში ძალადობით სახელმწიფოსთვის „საკუთარი ნებით“ ქონების „ჩუქების“ ბარბაროსული დავალება...

— რა თქმა უნდა, მან გასცა პატიმართა ტოტალური წამების და დასჯის ბრძანება, საპატიმროებში მათი გაუპატიურების, მათი დასნებოვნების ბრძანება ტუბერკულოზით და C ჰეპატიტით!..

— მან შექმნა 300 000 პრობაციონერის სახით ნახევრად დასჯილთა და დასასჯელთა „გულაგი“ ერზე შიშისა და ფსიქოლოგიური ძალადობის სინდრომის დასათესად...

— მან (და ბოკერიამ) მოაწყეს პატიმართა ავჯანყების პროვოცირება და მათზე თავდასხმა, მათი ხოცვა-ჟლეტა.

— რა თქმა უნდა, მან მოაწყო გლეხობაზე ეკონომიკური დივერსიები სხვადასხვა ფორმით (კერძოდ, პირუტყვის და ფრინველის განადგურებით), რამაც გლეხი საკუთარი მიწიდან აყარა და გააქცია... შემოიყვანეს „სანიტარი მგელი“, რამაც მთლიანად გაანადგურა ცხოველთა ფაუნა...

— ის შეეცადა ერის ფსიქოლოგიის შეცვლას, მის „მეტამორფოზას“ ახალგაზრდობის ზომბირებით, ახალი ტიპის ადამიანის გამოყვანას. მან ხელი შეუწყო უზნეობას, ანუ მორალური „გარემოს“ ნგრევას, ღირსეულთა ღირსების შეურაცხყოფას...

— მან შეძლო ცილისწამებაზე, სიცრუეზე, შეურაცხყოფაზე არსებული „დამსჯელი მუხლის კანონის“ გაუქმება და გზა გაუხსნა ღირსეულთა ღირსების დამცირების ვაკქანალიას, ტრადიციული მორალის ნგრევას... სიტვის თავისუფლების მანდატით შემოსა ფსევდო-ჟურნალისტთა და ავანტურისტთა კოლონები ერის ზნეობრივი სივრცის დასანგრევად...

— იგი პირდაპირ დაუპირისპირდა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას და შეძლო რელიგიათა ტოლერანტობის კანონის და სხვა ლიბერასტული ნორმების დამკვიდრება. ამით მან გზა გაუხსნა რელიგიურ უმცირესობათა, ჰომოსექსუალთა, ათასი ჯურის ლიბერასტთა და სექტანტთა ძალადობას ერის უდიდესი ნაწილის ნებაზე, მის ფსიქოლოგიაზე...

— მან განდევნა სამსახურებიდან, მეცნიერებიდან, კულტურიდან მთელი თაობები. შეეცადა (და შეძლო სამეცნიერო, კულტურული ინსტიტუტების, აკადემიების, კავშირების დანგრევა — სწავლულთა და მწიგნობართა განდევნა ერის სულელური სივრციდან და ქვეყანა მთლიანად გადავიდა დილეტანტი ხლისტების ხელში!

საკუთარი ამორალური ცხოვრებით, უზნეობის მაპროვოცირებელ და დამნერგავ ფენომენად („კენტავრად“) იქცა...

●

ეტყობა, სააკაშვილს საქართველოში ექსპტადაცია ურჩევნია, ასე მოქალაქეობაჩამორთმეილ მოხეტიალე ავანტურისტად ყოფნას, ამიტომ „აწვება“ უკრაინას, რომ „აქეთ გადმოქაჩონ“... და აქ „ბუნტების“ პროვოცირება და ნაცების აჯანყება შეძლოს!.. იგი ვარაუდობს, რომ „ქართული ოცნება“ ვერ შეაჩერებს ქაოსს და ანარქიას, რომელსაც ის „გამოიწვევს“ გამოთაყვანებული ევრომოკავშირეების მხარდაჭერით. ეს ახალი „ევროპეიდული“ რასპუტინი (კორტეჟით რომ მოაცილებენ უკრაინისკენ!) საქართველოს უმიზნებს და ფიქრობს, რომ საქართველო „მეორე ძუძუსაც მიუშვერს მას“, რომ მოაჭამოს...

თუმცა ჩვენი ბედისწერა ფატალურია, თანაც ტრაგი-კომიკური, მაგრამ ამ დღემდე, ალბათ, არ ჩამოვალთ! არ დაუშვებს უფალი ამას!

●

...სააკაშვილის დანაშაულთა ეს არასრული ნუსხა არ არის ცოტა. არც მოგონილია, არც გაზვიადებული. ამ დანაშაულთა ნახევარიც კი ეყოფოდა ნებისმიერ ჯალათს და „ჰეროსტრატეს“, გნებავთ, ნერონის, ან კალიგულას ტიპის ტირანს... მაგრამ სააკაშვილის მთავარი დანაშაული სულ სხვაა: ეს არის „სამშობლოს ღალატი“. საკუთარი მამულის და მიწა-წყლის გაყიდვა და მტრისთვის გადაცემა, წინაპართაგან დაცული საზღვრების და ტერიტორიების დაშლა, რასაც გამოკვეთა და ცნობიერება სჭირდება...

ყოველი მისი დანაშაული ფატალურია და დღემდე დაუსჯელი, მის გამონაყოფთა და მიმდევართა მიერ წარმატებად გამოცხადებული! აღიარებული წაგება — მოგებას, ბოროტება — სიკეთედ!

●

ამ თემას არაერთი განზომილება, ექსპოზიცია და კულმინაცია გააჩნია; ეს გზა სისხლიანი და დრამატულია! რომელიც ჩვენს წინ ჩალაგებულია დოკუმენტურ კადრებად, მათ მხოლოდ შეკრება და სისტემაში მოქცევა უნდა, რომ მივიღოთ ტრაგიკული, მაგრამ ბრწყინვალე კინოქრონიკა ჩვენი ისტორიის კიდევ ერთი დრამატული მონაკვეთია.

რეზიუმეს სახით ვიტყვი:

სააკაშვილის ჩამოყვანის მთავარი მოტივაცია (ამოცანა) უნდა იყოს მისი სასამართლო პროცესის ქცევა ახალ ნიურნბერგის პროცესად! აქედან უნდა დაიწყოს ახალი ქვეყნის შექმნა და საზოგადოების გამარჯვება ფსევდოფასეულობებზე.

მას (სააკაშვილს) და მის ხროვას არ ჩაუდენია ფაშისტებზე ნაკლები დანაშაული ზოგადად კაცობრიობისა და საკუთარი ქვეყნის წინაშე. ამდენად, ქვეყანას უნდა მოეხსნას სატანური კანიბალური ტვირთი — დანატოვარი ამ უმძიმესი რეჟიმის და პოლიტიკური სექტის მიერ! ამიტომ სააკაშვილის პროცესზე უნდა გასამართლდეს „ნაციონალური მოძრაობა“ მასთან ერთად და ყველა მისი თანამოაზრე!

მხოლოდ მას გასამართლება არაფერს ნიშნავს, თუ მისი ჯალათები პარლამენტში ისხდებიან და კვლავაც კენჭისყრას, გაბედავენ თვითმმართველობის არჩევნებზე!

„ქართულმა ოცნებამ“ უნდა აღასრულოს ქართველი ხალხის ნება და აკრძალოს ნაცების ფაშისტური პარტია, ვიდრე მას პარლამენტში ჰყავს კონსტიტუციური უმრავლესობა.

ეს იქნება „ქართული ოცნების“ მისიის აღსრულება ქართველი ხალხის წინაშე!

კობა არაბული,
მწერალი

მეტრალა ერი

თუ ხუნვეიბინაციის და თაობების ჩარეცხვის პროცესი არ შევაჩერეთ, ქვეყანა კვალიფიკაციას და მასთან ერთად განვითარების პერსპექტივასაც დაკარგავს...

გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:

— ბატონო რამაზ, დროთა განმავლობაში ასეთი ვითარება მივიღეთ: კომპეტენტური, პროფესიონალი თაობა ჩარეცხილებად შერაცხეს და სამაგიეროდ, ქვეყნის მართვის სადავეები თინეიჯერებმა დაიპყრეს. ეს პროცესი დღემდე გრძელდება...

— მიშას მმართველობის პერიოდში გაჩნდა ტერმინი — ხუნვეიბინაცია. მოგეხსენებათ, მაო ძედუნმა გადაწყვიტა თავისი ძველი გარემოცვა მოეშორებინა და ამ მიზნით, მილიონობით პირტიტველა ახალგაზრდა გამოუშვა ქუჩაში, რომელთაც ხულოებინები დაერქვათ. იქ, ეს პროცესი შეჩერდა და პირიქით, დღეს, ჩინეთში ასაკიანი პოლიტიკური ელიტაა. საბჭოთა პერიოდშიც მოხდა მსგავსი: თავის დროზე პოლიტიკურ მეტოქეებს კომკავშირელები შეუსიეს, რადგან ახალგაზრდებს ისეთი ენერგია და შემართება აქვთ, რისთვისაც წინააღმდეგობის გაწევა ძნელია. კომკავშირელები სხვადასხვა ფენებს არბევდნენ და მათ ადგილებს იკავებდნენ, თუმცა, მერე როცა თავად ბერდებოდნენ, რეპრესიების მსხვერპლნი ხდებოდნენ. ასე, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში ძველი თაობის წინააღმდეგ ახალგაზრდა თაობების გამოყენება უჩვეულო არ არის. დაახლოებით, ანალოგიური მოტივი ჰქონდა თაობათა დაპირისპირებას საქართველოშიც. გარემოცვასთან გამკლავება შევარდნაძესაც უჭირდა. დასავლეთი ითხოვდა: შევარდნაძე რეფორმატორებს დაყრდნობოდა, რომლებიც დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობას შესანიშნავად ამყარებდნენ.

ამ თაობის რადიკალური წარმომადგენელი იყო სააკაშვილი, რომელიც პირველი პირი გახდა. მან თაობებს შორის პოლიტიკური დაპირისპირება პრინციპად აქცია, პრინციპულ სიბრტყეზე გადაიტანა და სწორედ აქ გაჩნდა ტერმინი ჩასარეცხები. ფაქტობრივად, მან მთელი თაობები ასაკობრივი ნიშნით ჩარეცხა და ასევე, ასაკობრივი ნიშნით მართვაში ახალი თაობა შემოიყვანა. მერე აღმოჩნდა, რომ ე.წ. საშუალო თაობა, უმუშევარი დარჩა, მათ სამსახური დაკარგეს და ველარც იპოვეს. შესაბამისად, თვითონ სფეროები ამ თაობების გარეშე დარჩა. ეს იყო თაობა, რომელსაც დიდი გამოცდილება ჰქონდა დაგროვილი. ახალმა თაობამ კი განცხადებაზე რეზოლუციის დადებაც არ იცოდა. ძალიან ბევრს შრომის წიგნაკი პირდაპირ მინისტრობიდან ჰქონდა გახსნილი. გემახსოვრებათ სკანდალი: იმერეთის გუბერნატორი და მისი პოლიტიკური გარემოცვა როგორ თამაშობდა ბავშვების თამაშს — უკან დაკიდებულ ფანქარს ჩაუშვებდნენ თუ არა ბოთლში. მათ ბავშვებისნაირი დროსტარების სტილის გემოვნება ჰქონდათ. სხვათა შორის, არის შემთხვევები როცა ეს ბავშვობა კომპლიმენტი არ არის. ბავშვი ძალიან დაუნდობელია თუკი მიუშვი, რაც ნაწილობრივ, ფარული ჩანაწერების ვიდეო საცავებში აისახა, რაც მათ შექმნეს.

— ბატონო რამაზ, რა შედეგი მოუტანა ქვეყანას ყოველივემ?

— ამან მოგვიტანა, რომ ასე ფუნდამენტურად და მავნებლურად, როგორიც საქართველოში საბჭოთა წარსულთან დამშვიდობება იყო, სხვაგან არსაც მომხდარა, არც სომხეთში, არც აზერბაიჯანში. რუსეთში ძალიან დიდხანს საკმაოდ ძლიერი იყო საბჭოთა, კომუნისტური თაობები, მათი მენტალიტეტი. ჩვენთან სააკაშვილის სამართებელმა ეს თაობები უცებ ჩაჭრა. უცებ გადავედით დასავლური ცხოვრების წესზე ისე, რომ საბჭოთა წარსულის მიმართ დამოკიდებულება თითქმის ყველა რეგიონში, ცალსახად, უარყოფითი იყო. ასეთმა უეცარმა და ამავე დროს არაკომპეტენტური ხალხით მომხდარმა ცვლილებებმა მოიტანა ისიც, რომ ეს სიახლეები ყოველთვის მომხიბვლელი არ იყო. ასევე, მოიტანა ის, რომ ახალგაზრდები ძალიან ხშირად ჩქარობდნენ, ოღონდ, არ იცოდნენ საქმე როგორ გაეკეთებინათ. წეღან, ხულოებინები ვახსენე. მათ უკავშირდება ასეთი ისტორია: ჩინეთი ჩიტებმა შეაწუხეს, ყველაფერს ანადგურებდნენ. კომუნისტურმა პარტიამ გამოაცხადა: ჩიტები უნდა დავხოცოთო. გამოვარდა ეს მილიარდიანი ერი ქუჩაში, ეცა ჩიტებს და დახოცა. შედეგი ის მიიღეს, რომ ჭიები გამრავლდნენ და ჭიებიანი მოსავალი აღარ ვარგოდა. უცბად მიღებულ გადაწყვეტილებაში ძალიან ხშირია ისეთი ნაბიჯის გადადგმა, რომლის შედეგიც გათვლილი არ არის და იგი შეიძლება უფრო დიდი პრობლემის მომტანი გახდეს, ვიდრე ის, რასაც ებრძვი. თაობათა დაპირისპირება, კომუნისტური სულისკვეთებისგან გათავისუფლება, იმ პერიოდში, შეიძლება კარგი იყო, მაგრამ მეორე მხრივ, დადგა პრობლემა — დავკარგეთ სპეციალისტები მედიცინაში, მშენებლობაში, მეტალურგიაში და ა.შ. იმიტომ, რომ თაობათა ცვლაში სპეციალისტები სანაგვეზე მოისროლეს. ეს ადამიანები ზოგი უმუშევრობამ გახადა ქმედუუნარო, ზოგი რუსეთში წავიდა სამუშაოს საშოვნელად და ფაქტია, რომ დღეს, ინჟინერი, მშენებელი და სხვა აღარ გვყავს. ბევრი მიმართულებით მძიმე სურათია შექმნილი. „ნაცმოძრაობის იდეას ხშირად ბენდუქიძე ახმოვანებდა: თუ დაგვჭირდება ექიმი, წავალთ უცხოეთში და იქ ვიმკურნალებთ. რა საჭიროა საქართველოს, ამ პატარა ქვეყანას ყველა პროფესიის ადამიანი ჰყავდესო. ეს არ იყო მათი მოგონილი იდეოლოგია. დასავლეთი 90-იანი წლებიდან მოყოლებული გვეუბნებოდა: საქართველომ არ უნდა დახარჯოს საბიუჯეტო სახსრები იმაში, რომ კარგი ისტორიკოსები, ფიზიკოსები და ა.შ. ჰყავდესო. მიშას მმართველობამ გადაწყვიტა, რომ ჩვენ პროფესიონალები მხოლოდ მომსახურეობის სფეროში გვჭირდება — ოფიციანტი, პოლიციელი და ა.შ. სხვა აკადემიურ სფეროებზე აქცენტი არ იყო — ოფიციანტობა მრავალწლიან სწავლას არ საჭიროებდა. მან ქვეყნის სტრატეგია ისე წაიყვანა, რომ პროფესიონალიზმის მატარებელი თაობა ზედმეტიც იყო, რასაც თავის შედეგები მოჰყვა. ზოგადად რომ შევაფასოთ, თაობათა ცვლის ასე ჩარეცხვით ჩატარებას, მძიმე შედეგები ჰქონდა. შედეგი არის ის, რომ ნელ-ნელა ქვეყანა კვალიფიკაციას კარგავს, ეს ფაქტია. ქვეყანას გრძელვადიანი ხედვა უნდა ჰქონდეს და წინასწარ იცოდეს ასეთი განვითარებისთვის რა კადრები დასჭირდება. მსგავსი სამუშაოები მიშას დროს არ გაკეთებულა. ამ ხელისუფლებამ ხულოებინების არ იყოს თქვა: მეტისმეტად ბევრი ბებერი დაგროვდაო, დაკრა ხელი და ჩამოყარა თანამდებობებიდან, თვითონ შეახტნენ ზედ სკამებს და გარკვეული სირთულეები შექმნეს. ეს თემა მოუგვარებელია, ახალგაზრდები ისევ არაპროფესიონალები არიან, ხშირ შემთხვევაში, დაუსაქმებლები. პრობლემის მოგვარებაზე ხელდაკაპიწებულ მუშაობას ვერ ვხედავ. მთავარი პრობლემა სწორედ ისაა, რომ ჩვენ ქვეყნის მართვაში მოუმზადებლები, არაპროფესიონალები აღმოვჩნდით.

— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, ალბათ, აღარ უნდა გაგვიკვირდეს რატომ ვერ ვითარდება ქვეყანა. ქვეყნის სადავეები ხომ არაპროფესიონალებს უპყრიათ, რომელთაც შერბენით მიიღეს „განათლება“, ისწავლეს კომპიუტერი, ინგლისური და საერთოდ არ იცნობენ ამ ქვეყანას, არ იციან მისი ისტორია.

— დიახ, ფიქრს არიან გადაჩვეულნი. თქვენ ახსენეთ, გადარბენით აქვთ ნასწავლიო. იაპონიის მაგალითს მოვიყვან:

6 გვ.

აშშ-ს პრეზიდენტი დონალდ ტრამპია, მაგრამ სოროსის და ლიბერალების მეგობარი იან კელი საქართველოს დღემდე ბარაკ ობამას რეჟიმში აცხოვრებს

გვესაუბრება მოძრაობა „ქართული მარშის“ ორგანიზატორი რამაზ გაგნიძე.

მასობრივი ხანძრების თემა გუშინ და დღეს არ დაწყებულა, გაცილებით ადრე, ბაზრობებიდან დაიწყო, მარტო თბილისში თუ არ ვცდები 15-მდე ბაზრობაა დამწვარი, ზოგიერთი რამდენჯერმეც, ბოლოს ბუნებაზე გადავიდნენ. აშკარად იკვეთება გარკვეული ინტერესები, ყურადღების გადასატანად ხდება ეს ყველაფერი. ნაციონალები და მათი მომხრეები საბოტაჟის რეჟიმში ყველაფერს აკეთებენ საქართველოს გადასაწვავად. ეს არის გარეწარი, მოსყიდული, სახელმწიფოსადმი მტრული დამოკიდებულების ადამიანების კასტა, რომელიც უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ იმართება. თავს მოხვეული კოაბიტაციის წყალობით, დღემდე ვერ მოხერხდა სამართლიანობის აღდგენა, ამათაც რომ იციან არავინ დაისჯება, დანაშაულს დანაშაულს უმატებენ. რომ ამბობენ, მთავრობამ რატომ არ ჩააქრო ცეცხლიო, არ ჩააქრო კი არა, ვერ ჩააქრო თავისი ძალები თ. ყველაზე გამაღიზიანებელი ისაა, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ხსენებული სექტის ხუშტურების გამო, უარი თქვა რუსეთის დახმარებაზე, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, მათ შორის, მფრინავებს ჩადენილი გმირობისთვის, მაგრამ მათ მხოლოდ ცეცხლის ლოკალიზება მოახდინეს, საზღვრები მოჭრეს რომ ხანძარი სხვა ტერიტორიებზე არ გავრცელებულიყო. მერე ლოკალურად ჩნდებოდა ხანძრები თიანეთში, ფშავ-ხევსურეთში, ჟინვალში, სადღაც 2–3 კვირაში 50-მდე სერიოზული ხანძარი დაფიქსირდა. მე არ მაინტერესებს ვინ ვისი მტერია, მეორე მსოფლიო ომის დროს, ამერიკამ იაპონიის ორ ქალაქში ატომური ბომბები ჩაყარა, მაგრამ დღეს ეს ქვეყნები ერთმანეთის სტრატეგიული პარტნიორები არიან. ვინ მოგცა უფლება, ასეთ დროს დახმარებაზე უარს რომ ამბობ, როცა საერთაშორისო კანონმდებლობაშიც პირდაპირ წერია, სტიქიური უბედურების დროს, იქნება ეს ხანძარი, მიწისძვრა თუ სხვა, ქვეყნის ხელისუფლებას უფლება არ აქვს უარი თქვას ნებისმიერი მეზობლის შეთავაზებულ დახმარებაზე. ძალიან მაინტერესებს, როცა მთელი კვირა იწვოდა საქართველო, რატომ არ გამოჩნდა ჩვენს დასახმარებლად „მოძმე“ უკრაინა, რომელსაც რუსეთზე მძლავრი თვითმფრინავები ყავს, მარტო მიშას და ნაციონალების „გაპრავებაა“ მათი „პრეროგატივა“? „მოძმე“ ამერიკასაც არ გაუპარტყუნებია ყური, მარტო იან კელი „გვამხნევებდა“ ფიქრებითა და ლოცვებით, ბოლოს, როცა დასაწვავი აღარაფერი დარჩა, 500 წყვილი „ბატინკი“ გამოგვიგზავნეს, ოღონდ „შნუროკების“ გარეშე. მე ამერიკის ახალ ხელისუფლებას არაფერს ვერჩი, მართლაც კარგი მთავრობა მოვიდა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამერიკის ელჩი და ჩვენი ლიბერასტები ისევ ობამასა და ჰილარი კლინტონის რეჟიმში გვაცხოვრებენ. ეს ე.წ. პატრიოტები „ოკუპანტი“ რუსეთის დახმარებაზე უარს რომ ამბობენ, მათ მილიონიან ქონებებს რომ გასჩენოდა ცეცხლი, მაშინაც თუ იტყოდნენ უარს ამ დახმარებაზე? თუ რუსეთი არ გვინდა, მაშინ რატომ გააქვთ იქაურ ბაზარზე ღვინო, მინერალური წყლები, ციტრუსები, რატომ გაასხვისეს ნაციონალებმა საქართველოს სტრატეგიული ობიექტები რუსეთზე, „ენგურჰესის“ მმართველობა 2008 წლის ომის შემდეგ არ გადასცეს რუსეთს? რუსეთიდან „იმპორტირებულ“ კახა ბენდუქიძეზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია რუსული ფსბ-სა თუ გრუ-ს გენერალია, რომელიც პარალელურ რეჟიმში აშშ-ის გენერალიტეტთან მეგობრობს, ორმაგი აგენტია ოფიციალურად. ბევრი ასეთის ჩამოთვლა შეგვიძლია. ამ დროს ნაცების რუპორის, ელისო კილაძის წაყვირებაზე უკან იხევს ხელისუფლება, კილაძე თავის „პატრონებიანად“ 200.000-ს კი არა, 1000 კაცსაც ვერ გამოიყვანდა.

ხელისუფლება რომ შეიცვალა, რუსეთის პრეზიდენტმა რამდენჯერმე მოუწოდა ქართულ მხარეს მოლაპარაკებისკენ, არ გვინდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიერთება, დავილაპარაკოთო, ამათ კი უარი თქვეს. რომ სდომებოდა რუსეთს ამ ტერიტორიების მიერთება, აქამდეც მოახერხებდა, ვინ შეუშლიდა ხელს, როცა ნატოს გენერლებიც აღიარებენ რუსეთის სამხედრო პოტენციალის სიძლიერეს. ამხელა იმპერიის პირველი პირი გთავაზობს მოლაპარაკებას, ჩადი მოსკოვში, იქნებ რას გეუბნება, მაგრამ ვერ ბედავენ. ნაციონალებს დიდი ფული აქვთ აღებული, 2008 წლის ომის შემდეგ თითქმის ხუთი მილიარდი დოლარი შემოვიდა დასავლეთიდან, მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი მოხმარდა დევნილ მოსახლეობას, დანარჩენი კი ნაცელიტის ჯიბეებში დაილექა. მათ არ აწყობთ არავითარი მოლაპარაკება.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ელისო კილაძეს თვითონ ჰქონდა უამრავი კადრი, ზოგი შეიძლება მართლაც იყიდა, ზოგს „პოსლეზე“ შეპირდა ანაზღაურებას, ფულს როცა იშოვიდა, ბევრიც აჩუქეს იმის სანაცვლოდ, რომ „გააპრავებდა“ ნაცმოძრაობის იმ „კორიფეებს“, რომლებსაც მკვლელობაში, გაუპატიურებასა და სხვა მძიმე დანაშაულში მონაწილეობდნენ. ხომ გაირკვა, რომ კილაძეს ყოველთვიურად მარტო საკაშვილი უხდიდა 12.000 დოლარს, კიდევ ვინ უხდიდა, ღმერთმა იცის.

კილაძეს დავალება აქვს, რომ ნაციონალების სასარგებლოდ იმუშაოს, მას ზემოხსენებული „კომპრომატების“ გარდა, კუდის მიერ გადაბირებული ხალხის „პადპისკებიც“ გადასცეს, რომელსაც სოსო თოფურიძე აწერს ხელს. კუდის ე.წ. აგენტების სიაში (46 თუ 56 ადამიანზეა საუბარი), დავით საგანელიძეც ფიგურირებს, რომელიც დღეს საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელია. ამ ყველაფერზე კილაძე სისტემატურად წერდა თავის გაზეთში. აი, ეს ქალი გამოდის მერე „ობიექტივის“ ეთერით და ამბობს, რამაზ გაგნიძე კუდ-ის აგენტია. შევუთვალე, თუ აგენტი ვარ, ის მაინც მითხარი „გასამრჯელო“ სად ავიღო, უფულოდ ვარ-თქო. ნაციონალებმა სამი ქონება წამართვეს, რამდენჯერმე დამიჭირეს, სს-ის პასუხისგებაშიც მიმცეს და თურმე მე ვყოფილვარ კუდ-ის აგენტი. როცა ვთქვი, საქართველოში ტერორისტებს თუ შევნიშნავ, იარაღით დავუპირისპირდები-თქო, რამდენიმე დღეში პოლიცია შემომივარდა სახლში, ჩხრეკა უნდა ჩავატაროთო. თურმე ელისო კილაძემ, თამარ ჩერგოლეიშვილმა, „ლიბერალისა“ და „ნიუპოსტის“ შეფობამ, ეს უკანასკნელი „პოლიტიკოს“ ბაჩუკი ქარდავას ეკუთვნის, პაატა დავითაიამ, ანუ ლიბერალურმა სამყარომ მიჩივლა, მუსულმანებს ემუქრება რამაზ გაგნიძეო. ფაქტზე საქმეც აღძრეს და პოლიცია მომადგა, პროკურორისა და მოსამართლის სანქცია გვაქვს, იარაღს ვეძებთ, ხალხს დამუქრებიხარო. ჯერ ერთი ტერორიზმს არც ეროვნება აქვს და არც სარწმუნოება, თანაც ვის დავემუქრე, საქართველოში არარსებულ ტერორისტებს? ამ პოლიციელებსაც ვუთხარი და გავიმეორებ, თუ მართლაც შემოვლენ ტერორისტები, მარტო ჩემი კი არა მათი შვილებიც, მთელი საქართველო უნდა დავიცვა. ამერიკის პრეზიდენტი, მთელი ევროპა, რუსეთი, მსოფლიო ებრძვის ტერორისტებს, ეს ავადმყოფი ლიბერასტები კი იცავენ.

– საზოგადოების მოთხოვნა იყო, საქართველოს კონსტიტუციაში ჩაწერილიყო, რომ ქართული მიწა, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, უცხოელებზე არ გასხვისდებოდა, რასაც თითქოს ხელისუფლებაც ეთანხმებოდა. არადა ახლახანს პარლამენტში შევიდა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენასთან დაკავშირებით, კანონით დადგენილი შეზღუდვა არც კომერციულ ბანკებზე გავრცელდება და არც იმ განსაკუთრებულ შემთხვევებზე, რომელიც მთავრობის გადაწყვეტილებით განისაზღვრება.

– საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 87%-ს ბანკების ვალი აქვს, ვალის უზრუნველსაყოფად კი იპოთეკით აქვთ დატვირთული ბინები, კომერციული ფართები და მიწის ნაკვეთები. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ისეთი ტენდენციაა, რომ ბევრი მსესხებელი შეიძლება ვალს ვერ გადაიხდის ვალი, აქედან გამომდინარე, ბანკების ხელში სერიოზული პოტენციალი გადავა, მათ შორის, ქართული მიწა, რომელსაც ნებისმიერ მსურველზე გაასხვისებენ. ხსენებული კანონპროექტის მიხედვით, ბანკები ვალდებულიც კი იქნებიან, რომ მათ კუთვნილებაში გადასული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ორი წლის ვადაში შესაბამის უფლებამოსილ პირზე გაასხვისონ. ქართველები, თავისი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ მიწებს დიდი ალბათობით, ვერ შეიძენენ, ასე რომ, ყველა შემთხვევაში უცხოელებზე გაიყიდება.

– ადგილობრივ გლეხობას სარწყავი წყლის უქონლობის გამო მოსავალი ვერ მოუყვანია, ამ დროს ხელისუფლება ირანზე აპირებს წყლის გაყიდვას, რო-

6 გვ.

მტირალა ერი

4 გვ.

იაპონიას ადგილობრივი რესურსი, ნედლეული არ აქვს, იქ, ცარიელი კლდეებია. ერთადერთი რესურსია ადამიანები, უფრო ზუსტად შრომისუნარიანობა. 1945 წელს, მეორე მსოფლიო ომი რომ დამთავრდა, იაპონიას ორი ატომური ბომბი დაარტყეს, რაც უპრეცედენტოდ მძიმე შედეგებით დასრულდა. იაპონელები დაფიქრდნენ: როგორ გაეგრძელებინათ ცხოვრება, რამ განაპირობა მათი ჩამორჩენა, რომელი ტრადიციებია უკან დასახევი და რომელი წინ წამოსაწევი. ამაზე დაფიქრება უკვე უაღრესად დადებითი მოვლენა იყო. იაპონიამ ტრადიციული ინსტიტუტები მოსპო, მაგალითად, სამურაის ინსტიტუტი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი ეროვნული მოსპო. პირიქით, დღეს იქ, არაიაპონურ წარწერას ვერ ნახავთ. არაიაპონურად ქუჩაში არ დაგელაპარაკებიან, იქ, ინგლისურით ბევრს ვერაფერს მოახერხებთ. ორბომბდარტყმულმა იაპონიამ მიზანი დაისახა და დაახლოებით 5 წელიწადში ფეხზე დადგა. ასევე, 5 წელიწადში დადგა ფეხზე ამ პერიოდშივე განადგურებული გერმანია და ეკონომიკურად ერთ-ერთი უძლიერესი ევროპული ქვეყანა გახდა.

მათ დასავლეთი ეხმარებოდა, რამაც ხელი შეუწყო ფეხზე დამდგარიყვნენ. ჩვენ რამდელი წელი გვჭირდება, რომ ფეხზე დავდგეთ? ჩვენი ხალხი თავისი ქვეყნის მოვლის მსურველი არის თუ არა. ის დიდი მიგრაციული ტალღა, რაც გვაქვს, თავისთავად, ცუდი ნიშანია, მაგრამ ვინც რჩება ის ქვეყანას უვლის, თუ უბრალოდ, გაქცევა არ შეუძლია, ესეც საკითხავია.

— წელან, უმუშევრობა ახსენეთ. ახლა, ვაკანსიებს თუ გადახედავთ, 35 წელს ზევით მოქალაქე სამუშაოს ვერ იშოვის. რა ხდება, საქართველოში 35 წლის ასაკში ვამთავრებთ ცხოვრებას?

— გეთანხმებით, აქაც დაუფიქრებელი პოლიტიკის მატარებლები ვართ. სხვა ქვეყნის პარლამენტებში ამდენ თინეიჯერს ვერსად ნახავთ, ჭაღარა, გამოცდილი ხალხი სჭარბობს მთავრობებშიც და პარლამენტშიც. ის კი არა, პრესკონფერენციებიდან ტრანსლაციისას შურით ვსკდები, როგორი აკადემიურნი (არა მარტო ასაკით) არიან უცხოელი ჟურნალისტები. ჩვენთან, ჟურნალისტიკაც თინეიჯერულია და არც აქ, არის პროფესიონალიზმი. პროფესიონალიზმზე ორიენტაციაც არ არის. სპეციალიზირებული ჟურნალისტიკა მარტო სპორტში შემოგვრჩა და ჰა, ჰა ეკონომიკაში. პროფესიონალიზმზე, მთლიანობაში, აგდებული დამოკიდებულებაა. შევარდნაძესთან ახლო ურთიერთობა მქონდა, რომელიც აზრზე არ იყო როგორ უნდა ემართა არასაბჭოთა ქვეყანა. მას ერთი პლუსი ჰქონდა — კითხვების დასმა და მოსმენა უყვარდა. სულ ამბობდა: ეს არ ვიცი და აბა ამიხსენით, რჩევებს თავისუფლად იღებდა. დღეს, პრობლემა იმაში არაა რომ მართვა არ იციან, არამედ იმაში, რომ მოსმენა არ იციან.

2012 წელს კატასტროფის ელემენტები იყო, როდესაც ქვეყანამ იგრძნო, რომ ისე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და ინვალიდები საარჩევნო ყუთებთან სავარძლებით მიჰყავდათ, რათა „ნაცები“ ხელისუფლებაში აღარ დარჩენილიყვნენ. თუ ასეთი რადიკალური წერტილი არ არის, შორეულ პერსპექტივებზე არ ფიქრდებიან და საკუთარი ინტერესებიდან ამოდიან. შედეგად ვიღებთ იმას, რასაც ვიღებთ. კერძოდ ყველგან არაპროფესიონალიზმს, რაც მარტო თაობათა ცვლა არ არის, არამედ ჩვენი ეროვნული პრობლემაა. უფროსმა და საშუალო თაობამაც თვითონ უნდა უშველოს საკუთარ თავს. მტირალა ერი გავხდით. მტირალა ბავშვი არ ვარგა, მოგბეზრდება. როგორი მოსასმენია ერი სულ რომ ტირის. ამაშია დღეს პრობლემა — იმის მაგივრად, რომ მობილიზაცია გაკეთდეს და გამოსავალი მოსინჯონ, ტირიან. ვტირით, რომ გვაქვს თინეიჯერების პოლიტიკური ელიტა. ამას ტირილი არ უნდა, ამას ახალი პარტიების შექმნა უნდა. ერი, ამ სფეროშიც, ინერტულია, ტელევიზორში უყურებს პოლიტიკას. მოსახლეობის 30% იძახის: არცერთი პარტია არ მოგვწონსო. ეს ხომ არის 1 მილიონი ადამიანი. ამ ერთმა მილიონმა ადამიანმა ერთი პარტია ვერ შექმნა? ხელისუფლება ფაქტების წინაშე საზოგადოებამ უნდა დააყენოს და არა, პირიქით. ჩვენ, ორიენტირებული ვართ იმაზე რას შემოგვთავაზებენ და არა, პირიქით, ხელისუფლება იყოს ორიენტირებული იმაზე, საზოგადოება რას შესთავაზებს. ამ მიმართულებით სიახლეები უნდა მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი თაობები მართლა დაიღუპება. ჩემი აზრით, პერსპექტივა სწორედ ამ სიახლეებშია.

თამარ შველიძე
555 23 28 24



აშშ-ს პრეზიდენტი დონალდ ტრამპია, მაგრამ სოროსის და ლიბერალების მეგობარი იან კელი საქართველოს დღემდე ობამას რეჟიმში აცხოვრებს

5 გვ.

მელიც თურმე პირდაპირ მდინარიდან გადაიტუმბება ირანში. ამასაც ამერიკის ხელისუფლებას და იან კელის ხომ ვერ დააბრალებენ, მათ „რეკომენდაციას“ ვასრულებთო, როცა აშშ-ს მტრად ჰყავს გამოცხადებული ირანი.

- აშშ-ის ხელისუფლებას არა, მაგრამ იან კელის ნამდვილად დავაბრალებ. დონალდ ტრამპი არ არის ლიბერასტული სამყაროს წარმომადგენელი, რომელსაც მისი ელჩი მიეკუთვნება. აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა ყველა ქვეყანაში შეცვალა ელჩი, ერთადერთი საქართველოში დარჩა ობამას ხელისუფლების წარმომადგენელი, რატომ იბლოკება ტრამპისთვის საქართველოდან ინფორმაცია? ვფიქრობ, ამაში დიდი „წვლილი“ ე.წ. ქართულ მედიასაშუალებებს, განსაკუთრებით ტელევიზიებს, ლიბერასტული ფრთის წარმომადგენელ პოლიტიკოსებსა და „ენჯეოშნიკებს“ მიუძღვით, რომლებიც ჩვენც ისევ ობამას ხელისუფლების რეჟიმში გვცხოვრობენ. ტრამპისთვის ინფორმაციის დაბლოკვა იმიტომ ვახსენე, რომ იან კელი ფაქტობრივად იმ სოროსის მონაა, რომელიც პირდაპირ მტრობს ახალი პრეზიდენტისა და მთავრობის კურსს, შესაბამისად, ელჩიც საკუთარი ხელისუფლების მოწინააღმდეგეა. ამერიკა არა, მაგრამ კელი და სოროსის ლიბერასტული ფრთის წარმომადგენლები დაეთანხმნენ წყლის ირანზე გაყიდვას.

გლობალური დათბობის პარალელურად, წყლის მარაგთან ერთად, ნავთობის მარაგიც კლებულობს. აქედან გამომდინარე, მსოფლიოს ყურადღების ცენტრში წყლის რესურსით მდიდარი ის ქვეყნები მოექცევა, როგორიც საქართველოა. ნავთობსადენის მსგავსად, წყალიც მოცულობითი მილით გავა საქართველოდან ირანში, რომელიც თავის მხრივ არაბულ სამყაროსაც მიაწვდის. მილიარდობით თანხებზეა საუბარი, მაგრამ საქართველო, მისი მოსახლეობა რას მიიღებს წყლის ამგვარი იმპორტით?! ეს ყველაფერი გარდა იმისა, რომ საბოლოოდ გაანადგურებს ისედაც სულის მღაფავ ადგილობრივ სოფლის მეურნეობას, დიდ ეკოლოგიურ პრობლემასაც შეუქმნის ჩვენს ქვეყანას. იმის გამო, რომ თვითონ გამდიდრდნენ, ვიღაც-ვიღაცები მილიონობით ადამიანის უწყლოდ, უმიწოდ და უსახლკაროდ დატოვებას აპირებენ. ამათი ინტერესია სასწრაფოდ შეასრულონ ევროკავშირის მოთხოვნა, საქართველოში შემოიყვანონ ათასეულობით მიგრანტი, რომლებმაც ვხედავთ რაც დამართეს ევროპას. თავიდან ეს იქნება ნახევარმილიონიანი კონგლომერატი, რომელიც მოკლე ხანში კიდევ უფრო ბევრი გახდება. შეწუხებული ქართველობა იძულებული გახდება საზღვარგარეთ გაიქცეს, საქართველოსგან მხოლოდ სახელი დარჩება, თუ სახელიც არ შეუცვალეს.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

რაც ამ ადამიანების თავს ხდება, საერთაშორისო დონის სკანდალია – როგორ დაუგროვდა ერთ სოფელს 100 მილიონის საბანკო დავალიანება?

ჩვენი გაზეთის წინა ნომრებში საბანკო-სამევახშეო სისტემის შედეგად დაზარალებული და უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების თემამ ჩვენს მკითხველებში დიდი რეზონანსი გამოიწვია, ამიტომ თემას განვაგრძობთ და კოალიცია „სახალხო ტრიბუნების“ ლიდერებთან ერთად, ერთ დროს უმდიდრეს და ამჟამად გაღატაკებულ სოფელზე გიამბობთ, რომლის დავალიანება საბანკო სექტორის მიმართ 100 მილიონ დოლარს შეადგენს.

კოალიცია „სახალხო ტრიბუნების“ პრეზიდენტი მამისა ჯაფარაშვილი:

– საგარეჯოს რაიონში აზერბაიჯანელებით დასახლებული სოფელი იორმუღანლო მდებარეობს, რომელიც საქართველოში ცხვრის ხორცის მთავარი მომწოდებელია. წარმოიდგინეთ, ქვეყანაში არსებული 1 მლნ. 600 000 სული ცხვრიდან 1 მლნ. 200 000 ანუ დაახლოებით, 85% იორმუღანლოზე მოდის. ბუნებრივია, ამ სოფლის მაცხოვრებელთა ძირითად საქმიანობას მეცხვარეობა წარმოადგენს და შემოსავალიც სოლიდური აქვთ, უფრო სწორად, ჰქონდათ. ამჟამად, უმდიდრეს სოფელს, სადაც ხუთი წლის წინ ვალი არ იცოდნენ რა იყო, 100 მილიონი ლარის ვალი აქვს. რაც ამ ადამიანების თავს ხდება, საერთაშორისო დონის სკანდალია..

– ასეთი რა ხდება იორმუღანლოში და როგორ „მოახერხა“ კარგი შემოსავლის მქონე, მდიდარმა სოფელმა 100 მილიონიანი დავალიანების დაგროვება?

– სანამ ბანკები შეესეოდნენ, შემოსავალიც კარგი ჰქონდათ და წელგამართულადაც ცხოვრობდნენ, მაგრამ საფინანსო ორგანიზაციები „ფულის სუნს“ ასობით კილომეტრზე გრძნობენ. ვიღაცამ ამ მდიდარ სოფელს თვალი დაადგა და იფიქრა – რატომ უნდა ჰქონდეს წერა-კითხვის უცოდინარ ხალხს ამდენი ფულიო და მანამდე არ მოისვენა, სანამ ბანკის პროცენტებში არ ამოახრჩო. ბანკების კრედიტ-ოფიცრებმა ორღობეებში და საძოვრებზე იარეს და იორმუღანლოელებს ფაქტობრივად, ძალით დაურიგეს ფული.

– ცოტა დაუჯერებლად ჟღერს..

– წარმოიდგინეთ მშრომელი, ალალი ადამიანი, რომელსაც ცხვრის მეტი არაფერი უნახავს და ბანკის თანამშრომლები „ოქროს კოშკებს“ და ცხვრის ფარების გაასმაგებას პირდნებიან. ვერც კი დაუშვეს, რომ სოლიდური ორგანიზაციების თანამშრომლებს მოტყუება შეეძლოთ და დაიჯერეს.. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ წერა-კითხვის უცოდინარ ადამიანებს ხელშეკრულებები ყოველგვარი თარჯიმნის გარეშე დაუდეს. უთხრეს, რომ ბიზნესის გაფართოებისთვის 7%-იან და 8%-იან სესხს აძლევდნენ, სინამდვილეში, 36%-იანი და 50%-იანი სესხები მისცეს და უცხო ენაზე შედგენილ დოკუმენტებზე ხელი მოაწერინეს.

– როგორც ვიცი, ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელის მოწერის დროს, სახელმწიფო ენის არმცოდნე პირთან თარჯიმანი მიჰყავთ.

– კარგი იქნებოდა, ეს კითხვა სიღნაღელი მოსამართლე ღვინიაშვილისთვის დაგესვათ, რომელიც იორმუღანლოელთა საქმეებს იხილავს. თვითონ თარჯიმნის გარეშე პროცესს არ ატარებს და იმას ყურადრებას არ აქცევს, რომ ამ ხალხმა ენა არ იცოდა და ხელშეკრულებებზე „ბრმად“ მოაწერა ხელი. მოგეხსენებათ, რომ ხშირად, საბანკო ხელშეკრულებები და ტერმინოლოგია ქართული ენის კარგად მცოდნე და განათლებული ადამიანისთვისაც ბუნდოვანია და წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა, ენის არმცოდნე მეცხვარეებისთვის. საბანკო კანონები კაბალურია და მხოლოდ ერთი მხარის ინტერესებს ემსახურება, მაგრამ იორმუღანლოელებთან მიმართებაში, ეს კაბალური კანონებიც კი დარღვეულია. მე მაქვს იორმუღანლოელთა ასობით თუ ათასობით საქმე არა, რომლებშიც ადამიანის უფლებები ფეხქვეშ გაითელა. ასეთი განუკითხობის შედეგად, ცხვრის გამრავლება და „ოქროს კოშკები“ კი არა, გაათმაგებული პროცენტები რომ დაეფარა, ხალხმა ისიც გაყიდა, რაც ჰქონდა. როგორც ვიცი, იორმუღანლოელთა ცხვრის ფარებმაც მნიშვნელოვნად იკლო და დაახლოებით 100 000-ი სულით შემცირდა. ყველაფერს ისიც დემატა, რომ ეს ხალხი მუდმივად მთაშია, ინტერნეტსა და კომპიუტერთან წვდომა არა აქვს, ამიტომ ბანკის თუ სასამართლოს შეტყობინებებს ვერ იღებდნენ და ისე გაუყიდეს სახლები და მიწები, რომ წარმოდგენა არ ჰქონდათ.

– ამის კონკრეტული მაგალითები გაქვთ?

– უამრავი. სწორედ გუშინ მომაკითხა იორმუღანლოელმა ახალგაზრდამ, რომელსაც ბანკი „კონსტანტას“ ვალი ჰქონდა. მოგეხსენებათ, რომ ეს ბანკი თბს ბანკმა იყიდა. ბანკის გაყიდვის პროცესში, სესხები შეჩერებული იყო. ამ ბიჭს უნდოდა, გადახდის ახალი გრაფიკი შეედგინათ, მაგრამ არ იცოდა, სად მისულიყო. ჩემთან რომ მოვიდა და დახმარება

მთხოვა, ვკითხე, რამე უძრავ-მოძრავი ქონება გაქვს თქო და მიწა მაქვსო – მიპასუხა. ბანკში გრაფიკის შესადგენად რომ მივედით, აღმოჩნდა, რომ ბანკს ეს მიწა უკვე გაყიდული ჰქონდა..

– როგორც ბრძანეთ, იორმუღანლოელთა ფარები 100 000 ცხვრით შემცირდა. იქნებ, მთელი ეს საბანკო დავიდარაბა ე.წ. ცხვრის მაფიას და ბიზნეს-კონკურენციას უკავშირდება?

– ვერაფერს გამოვრიცხავ, რადგან სწორედ იმ წელს, როცა სოფელზე ყველაზე მეტი სესხი გაიცა, ცხვრის ექსპორტი გართულდა. საბაჟოზე ცხვრის გადაყვანა უფრო ძვირი გახდა, ვიდრე ცხვრის ყიდვა, რამაც ცხვრის ბიზნესი დააზარალა. ზუსტად ეს იყო ვიღაცის მიზანი, ეს სფერო მთლიანად თავის კონტროლში მოექცია და საბანკო ვალდებულებებით დამძიმებული ადამიანებისგან ცხვარი იაფად ეყიდა და ძვირად გაეყიდა. წარმოიდგინეთ, ხალხს, რომელმაც ბიზნესის განვითარებისთვის სესხი აიღო და ცხვარი 180 ლარად იყიდა, მისი გაყიდვა 80 ლარად მოუწია. იორმუღანლო ბენეფიციართა სოფელი გახდა და ხალხი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ სოფელში თვითმკვლელობის რამდენიმე შემთხვევა იყო.. წარმოიდგინეთ, ერთ სოფელს ათამდე ბანკი „წოვს სისხლს“: „კრისტალი“, „თბს ბანკი“, „საქართველოს ბანკი“, „პროკრედიტ ბანკი“, „ბანკი რესპუბლიკა“, „კრედო+“.. ჩვენ რომ ნორმალური ქვეყანა ქვეყანა

გვქონდეს, იორმუღანლოს ვალი მთლიანად ჩამოსაწერია და ბანკების წინააღმდეგ სისხლის სამართლის დასაწყები, მაგრამ იმედი არ მაქვს, რომ ასე მოხდება..

საქართველოში შექმნილი ვითარების სადემონსტრაციოდ, კოალიცია „სახალხო ტრიბუნების“ პრეზიდენტს შალვა მაღრაძეს „მშრალი სტატისტიკა“ მოჰყავს, რომლის თანახმად, ამჟამად, ქვეყანაში 300 000-ზე მეტი საცხოვრებელი ბინა იპოთეკითაა დატვირთულიდა აქედან, დაახლოებით 60%-65% ე.წ. უიმედო სესხია.

კოალიცია „სახალხო ტრიბუნების“ პრეზიდენტი შალვა მაღრაძე:

– ბოლო 4–5 წლის განმავლობაში, 150-ზე მეტმა ქართველმა მამაკაცმა სიცოცხლე სუიციდით დაასრულა. ბევრი მათგანი სიკვდილის წინ დაწერილ ბარათებში ბანკის ხელმძღვანელებს თუ კერძო მევახშეებს ემუდარება, რომ ოჯახის წევრები სახლიდან არ გამოუყარონ და სასიკვდილოდ არ გაწირონ. როგორც წესი, ფულზე დახარბებული ორგანიზაციები თუ კერძო პირები, გარდაცვლილთა უკანასკნელ თხოვნასაც კი არ ითვალისწინებენ.

– როგორც ვიცი, იორმუღანლოელთა უფლებების დაცვის მიზნით გამართულ აქციებს უშედეგოდ არ ჩაუვლია და გარკვეულ წარმატებას მიაღწიეთ.

– რაც შეეხება იორმუღანლოსთან, ამ სოფელთან ჩვენი ორგანიზაციის ურთიერთობა ერთი კონკრეტული შემთხვევის შემდეგ დაიწყო. ამ სოფლის ერთ-ერთ მაცხოვრებელს ბანკმა ბინა ისე წაართვა, რომ არაფერი გააგებინა. დეკემბრის სუსხიან დღეებში, ამ კაცის 17 წლის ქალიშვილი სამშობიაროდან ჩვილ ბავშვთან ერთად გამოვიდა და სახლის კარი დაკეტილი დახვდა. მხოლოდ მაშინ გაიგეს, რომ ბანკმა ოჯახი გამოასახლა. ამის შემდეგ, ოჯახს გვერდით დავუდექით, ბანკთან აქციები და მოლაპარაკებები გავმართეთ და ის ხალხი სახლში დავაბრუნეთ, თუმცა ასეთი უამრავი ოჯახია. იორმუღანლოელთა შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თავად „ეროვნული ბანკის“ დებულებაში წერია, რომ როცა მოქალქე დოკუმენტს კითხულობს და ხელს აწერს, ბოლომდე შემეცნებული უნდა ჰქონდეს, რა წაიკითხა, თუმცა, არც ერთი კომერციული ბანკი ამ მოთხოვნას არ ითვალისწინებს. ერთადერთი ბანკი, რომელიც იორმუღანლოში თარჯიმანთან ერთად შედის, ჩინური „ბაზის ბანკია“ და ამასაც „ეროვნულ ბანკში“ შეჭრისა და უამრავი აქციის ჩატარების შემდეგ მივაღწიეთ. თუმცა, ეს საკმარისი არაა! ქვეყანაში შექმნილი ტრაგიკული მდგომარეობიდან გამომდინარე, მოვითხოვთ:

1. სასწრაფოდ შეჩერდეს უკანასკნელი საცხოვრებლიდან მოსახლეობის გამოსახლება.

2. აიკრძალოს კერძო მევახშეობა და იმ მევახშეების წინააღმდეგ, რომლებსაც ასობით ოჯახი ჰყავთ გამოსახლებული, დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც ქართველი ერის გენოციდის განმახორციელებლების მიმართ.

3. გაუქმდეს ონლაინ-სესხები.

4. გაუქმდეს მიკრო საფინანსო ორგანიზაციები.

5. მოხდეს კერძო, მსხვილი ბანკების ნაციონალიზაცია, როგორც 2008 წელს ამერიკაში მოხდა, როცა 9 მილიონ ამერიკელს საბინაო პრობლემა შეექმნა.

– იორმუღანლოელები მიწებს ყიდიან?

– დიახ, საბანკო ვალდებულებები რომ გაისტუმრონ, იძულებულნი არიან, რომ მიწები გაყიდონ და ამ მიწებს უცხოელები ყიდულობენ. 4 თუ 5 წლის წინ, 7 000 ჰექტარი მიწა ირანელს მიჰყიდეს და სოფელს, რომელსაც მილიონ 200 000 ცხვარი ჰყავს, დღეს საძოვრები აღარ აქვს. მდიდარი, აყვავებული სოფლიდან, რომელიც საქართველოს ბიუჯეტს ავსებდა, დღეს თითქმის აღარაფერია დარჩენილი და ეს მთლიანად საბანკო სექტორის დამსახურება გახლავთ.

ნელი თორდია
571 35 36 88

თრიალეთის კოდალა

მიეცით „ჰუმანისტ“ ელისაშვილს ძალაუფლება და ის კბილებსაც ჩაგიმტვრევთ, თვალებსაც ამოგკორტნით და ციხეშიც ჩაგსვამთ!

„თუ ჩემ წინააღმდეგ და ხალხის მიერ გაკეთებული არჩევანის წინააღმდეგ ვინმე წავა, მართლაც კბილებს დავამტვრევ“ — განაცხადა ალექსანდრე ელისაშვილმა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ცესკო თბილისის მერობის დამოუკიდებელ კანდიდატად დაარეგისტრირებდა.

სულ მცირე ხანში სახელგატეხილმა NDI-მ საკუთარი პრესტიჟის შესაბამისი კვლევის შედეგიც დადო, აგრესიული ელისაშვილი მე-2 ადგილზე გამოაცხადა. ხარობდა ელისაშვილი, კვლევა მაშინ ჩატარდა, როდესაც ჩემი კამპანია არ იყო დაწყებული, რადგან ოფიციალურად კანდიდატურაც არ მქონდა გაცხადებული, შესაბამისად, მე-2 ადგილი არ არის ცუდი დასაწყისი. თუმცა, ნეტავ, NDI-ის კიდევ თავის მხრივ რა რჯიდა, საიდან და რატომ ჩააკვეხა ვინმე ელისაშვილი გამოკითხვაში ნაადრევად?

ამბობენ, მატყუარა ადამიანს

ეზრდება ცხვირიო, მაგრამ ალეკო ხომ მატყუარა არ არის, ის უბრალოდ ბოდიშის მოხდის მოყვარე ახალგაზრდა, ენერგიული კაცია, რომელსაც, ბევრ სხვა პრეტენზიას შორის, დედაქალაქის მერობაზეც აქვს პრეტენზია. რამდენი ბოდიში აქვს გადახდილი ალეკოს სიცოცხლის მანძილზე, ვინ იცის...

„ბოდიშის არსენალი“ აქვს ამ კაცს, ფაქტია, მაგრამ ეგებ ვინმემ შეაპაროს რამენაირად: შვილო, ძმაო ან ბატონო გრძელცხვირა ალეკო, წარამარა საბოდიშოდ რატომ იხდით საქმეს, ცხვირი — ჯანდაბას, გარეგანი ორგანოა და არ გემორჩილება, ყველგან ეჩრება, მაგრამ ეგ ენა შენ პირში არ არის, რატომ გივარდება ვარანივითო?

ვიკიპედია გვამცნობს ბატონი ელისაშვილის შესახებ, რომ ის, მაგალითად, შეწყალების კომისიის თავმჯდომარეც ყოფილა 2014 წლის ნოემბრიდან 2015 წლის აპრილამდე. პრეზიდენტ მარგველაშვილის თქმით, კომისიის თავმჯდომარე და წევრები მათი იმ ღირებულებებისა და ჰუმანურობის მიხედვით შეურჩევია, რაც ამ ადამიანების ბიოგრაფიას გასდევდა თან.

ჯერ ხომ პრეზიდენტის ბიოგრაფია იყო (და არის) მოვარაყებული და ელისაშვილიც დაერთო... თუმცა, რატომაც არა, ერთი ხიდან მომწყდარი ვაშლები შორი-შორს ხომ არ გორდებიან?

პრეზიდენტისა ვიცით და თურმე „ხალხისანი“ გრძელცხვირა ალეკოც ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოში“ მუშაობდა, გრანტების გამანაწილებელი ჯგუფის წევრი იყო. დაზუსტებული ინფორმაციით 2010 წელს ფონდში მუშაობდა, ხოლო რომელ წელს მივიდა აღნიშნულ ფონდში და როდემდე ტკბებოდა, რაღა მნიშვნელობა აქვს, როგორც ელისაშვილის „ნათლია“ (სწორედ მან შეარქვა „თრიალეთის კოდალა“ ალეკოს) ბატონი რეზო ამაშუკელი ამბობს, თუ ვინმე ერთხელ მაინც გახახუნებია სოროსის ინსტიტუტის კედელს, დასნეულებულია, კეთროვანივით მოსარიდებელიაო...

„თრიალეთის კოდალა“ ერთხელ სამების აღმართსაც აასკდა და „რუსთავი 2-ის“ ეთერიდან (გადაცემა „არჩევანი“) დასჭექა, აუდიტის სამსახური საპატრიარქოში უნდა შევიდეს და შეამოწმოს საპატრიარქოს ხარჯებიო.

დავიჯეროთ, რომ დამოუკიდებელმა დეპუტატმა გრძელცხვირა ალეკომ არ იცოდა, რომ სახელმწიფო აუდიტის კანონის მე-17 მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვე-პუნქტის თანახმად, აუდიტის შემოწმება არ ვრცელდება კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე (ანუ კანონის მიხედვით, აუდიტის სამსახურს არ აქვს საპატრიარქოს შემოწმების უფლება) ხალხი ეჭვობს, რომ ძალიან კარგად იცოდა, მაგრამ სადაც „იდგა“ („რუსთავი 2“) იქიდან „სხვაგვარად არ ძალუძდა“!

ეს ის გრძელცხვირა ელისაშვილია უეცრად მეხსიერება რომ გაუნათდა და გაახსენდა, რომ როდესაც შეწყალების კომისიის თავმჯდომარე იყო, პატიმრის გამოშვებაში მილიონების (დოლარში) მიღებას მმართველი გუნდის წევრები ცდილობდნენ და ამის გამო პოლიტიკოსების მხრიდან ზეწოლას განიცდიდა, თურმე თანხის ნაწილი უკვე აღებულიც კი ჰქონიათ. ზეგავლენით ვაჭრობა — ამ მუხლით მიმდინარეობს გამოძიება იმ ჩვენების საფუძველზე, რომელიც გრძელცხვირა ალეკომ მისცა პროკურატურას.

უჩა ნანუაშვილი მხრებს იჩეჩდა, არანაირ ვარაუდებს არ დავუშვებ, არანაირი სახის და არანაირი ფორმის ზეწოლა არ მომხდარა ჩემზეო; იქით ქალბატონი მუხაშავრია იყო გაოცებული, რა ზეწოლაო; არც სხვები ამბობდნენ (ყოველ შემთხვევაში, ხმამაღლა), ვიღაცები საიდანღაც მაწვებოდნენო და რაღა ეს კაცი დაიბრიყვეს?

მაშინ რომ არავინ ჰკითხა პატივცემულს, 2014 წლის ზაფხულში რატომ წამოხვედი შეწყალების კომისიიდან; თურმე ერთი წელია გითვალთვალებენ და გისმენენ და ახლა, ასე უცბად, რამ გაგახსენა რომ ზეწოლის ქვეშ იყავი, მაშინვე სად იყავი, როგორ ახსნით ამ ამბავსო, იმიტომ არის დიდ გულზე ბატონი ელისაშვილი დღემდე. არადა, ეს ის კაცია, ქიბარ ხალვაშს რომ მიუჩიქორთულა, 2004-ში წაგართვეს ქონება და აქამდე ხმა რატომ არ ამოიღე, არქივში იჯექიო?

ასე იყო თუ ისე, გრძელცხვირა ალეკო ყოფილი მთავარი პროკურორისა და მისი მოადგილის (გიორგი გოგაძე) წინააღმდეგ სამსახურებრივი გულგრილობის მუხლით საქმის აღძვრას ითხოვდა,

რაგინდ გრძელი ცხვირი ჰქონდეს ადამიანს, როდესაც აცხადებდა, რომ მას მობილურზე ტექსტურ შეტყობინებას უგზავნიდა მმართველი გუნდიდან კონკრეტული პირი და თუ ეს ჩანაწერი შენახული ჰქონდა (უნდა ჰქონოდა), რა ეწერა იმ შეტყობინებაში რაც ზეწოლად ჩათვალა მან, რომ არ გვითხრა და არც აღმოჩნდა აღნიშნული „ისტერიული ზარები და მესიჯები“ მის მიერ პროკურატურაში წარმოდგენილ და მისივე თანდასწრებით გახსნილ მის მობილურში, ეს ამბავი როგორღა იყო?

გაგრძელება — ორიოდე დღეში ფურცელს, სადაც სატელეფონო ამონაწერი იყო ამობეჭდილი თარიღითურთ, სულ რვიანები ახაზვინა ელისაშვილმა ჰაერში, აი, აქ არის ის ნომერი, რომელიც 591-ზე იწყებაო; მე ორსაათნახევრის შემდეგ ვუპასუხე, მანამდე პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს და თვით პრეზიდენტს ვაჩვენეო, ხოლო დაახლოებით თვე-ნახევარში გიორგი ბადაშვილსა და მის მოადგილეს შევხვდიო. აფირისტ! — იტყოდა ცხონებული ბებიაჩემი...

რაღაც, უცნაური კაცია ეს ალეკო ელისაშვილი, სასწაულებრივად ჰუმანური და გასაოცარი ღირებულებების მქონე — ააყვირეს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, რადგან პატრიარქისა და პრემიერის ერთმა სიტყვამ საშიშროება გაუჩინა „კრაზანებს“, რომ შესაძლოა პრეზიდენტს შეწყალების უფლება ჩამოერთვასო და მანაც იყვირა და იშტერავა.

უმთავრესი არ დაგავიწყდეთ, ეს ის გრძელცხვირა კაცია, ვიღაცისთვის ნაცადი კადრი რომ არის. ეს ხომ იგივე ალეკოა, რომელიც 2010 წლის 7 მაისს ტელეკომპანია „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში 8 ახალგაზრდის დაკავების პროვაკაციაში მონაწილეობდა და იმათთაგანი, ვინც იმ საშინელი რეჟიმის ხელში სააკაშვილის ციხისთვის გაიმეტა ეს ბიჭები ერთი ხელის მოსმით?

აი, ასეთი ჩამოუყალიბებელი ენის მიტან-მოტანების, ფაქტობრივად, ჭორაობის გამო, ხალხს სამართლიანად უჩნდება გარკვეული შინაარსის ეჭვები და უხამს გამონათქვამებთან ერთად უკვე მასხრადაც იგდებენ ალეკოს – „კომედიანტი ვაჭარი“; „მიკირტუმა სოვდაგარი“ და ა.შ.

სხვათაშორის, ისიც ითქვა, რომ ელისაშვილის დაფუძნებული „ჰამქრის“ საქმიანობით დაინტერესდა პროკურატურა, რომელიც იმ შავ-ბნელ 2006 წელს შეიქმნა და ამან გადარია და აურია გონებაო. სხვათაშორის, სადავო საკითხებში „ჰამქრის“ გვერდზე მუდმივად „საია“ ფიგურირებდა... თბილისი რომ ლამის სომხურ ქალაქად გამოაცხადა და მდაბლად მოუხარა თავი მელიქ აზარიანცის სულს, ეს კიდევ სხვა თემაა...

დიახ, ალეკო ელისაშვილს აქვს დიდი ცხვირი, თუმცა ეს სულაც არ არის ფიზიკური ნაკლი, პირიქით, უხდება კიდეც „ფიზიკური მატება“, აი, ფიგურალურად გრძელი ცხვირი განა არ უხდება მხოლოდ, ცუდად ებლანდება ფეხებში, იმ ფეხებში, რომლითაც ტრაქტორზე ახტა და ტრაქტორისტს უყვიროდა, შეწყვიტე მუშაობა, დროზე გამორთეო...

ერთხელ მან საკაშვილს „ბოდვითი შიზოფრენიით შეპყრობილი“ უწოდა. სააკაშვილს რაც სჭირს, მსოფლიოს შვიდი წამყვანი ფსიქიატრიული კლინიკის დასკვნაშია წარმოდგენილი, ამდენად, ახალს ვერაფერს იტყოდა, მაგრამ საინტერესოა, გრძელცხვირა ალეკოს ცნობისმოყვარეობის გამო ერთხელ მაინც თუ მიუკითხავს ფსიქიატრისთვის, რაიმეს მანია, ან აკვიატებები ან „რეაქტიული ფსიქოზი“.

აი, ასეთია ამ კაცის ვინაობის არავიკიპედიური მონახაზი!

ძრწოდეთ, ჰუმანური ალეკო ელისაშვილი კბილებსაც ჩაგიმტვრევთ, თვალებსაც ამოგკორტნით და ციხეშიც ჩაგსვამთ, თუ უფლებამოსილება მიეცემა!

გიორგი ჩხეიძე

საქართველოს საქართველო უნდა ერქვას და არა ჯორჯია

ჩვენი ქვეყანა „ჯორჯიას“, „გრუზიას“, „გურჯისტანის“, „გეორგიას“, „ვრასტანის“ და ა.შ. ნაცვლად, საერთაშორისო დონეზე, „საქართველოდ“ რომ უნდა მოიხსენიებოდეს, ამ თემას ბატონი **ანზორ ბაბუხადია** ათეული წლებია ამტკიცებს. მარტო ბოლო ორ წელიწადში მან ამ უსერიოზულეს თემას, ოთხი წიგნი მიუძღვნა, რომელთაგან განსაკუთრებით გამოსარჩევია **„დიახ, საქართველო არის ესე“** და **„ძმებო, ცამდე ავწიოთ საქართელოს სახელი“**.

ამ მიმართებით გაწეულ საქმიანობას ჩვენს გაზეთთან ერთად, სხვადასხვა ფორმით, არაერთხელ გამოეხმაურნენ გაზეთები: **„საქართველოს რესპუბლიკა“, „ლიტერატურული საქართველო“, „ქართული მწერლობა“, „ასავალ დასავალი“, „საქართველო და მსოფლიო“**. თავიანთი



სატელევიზიო პროგრამებით, ამ პრობლემას მნიშვნელოვანი დრო დაუთმეს და მხარი დაუჭირეს ცნობილმა პოლიტიკოსებმა, ისტორიკოსებმა, მწერლებმა და მოქალაქეებმა.

სამწუხაროდ, ამ უსერიოზულესი პრობლემის გადაწყვეტა ბატონი ანზორის გამოთქმას თუ მოვიშველიებთ, „ჯერჯერობით ბუქსაობს“.

ვფიქრობთ, აბსოლუტურად მისაღებია იდეა, რომ ჩვენს ქვეყანას, საერთაშორიისო დონეზე, ეწოდოს მისი ღირსეული და საქართველოს კონსტიტუციით დაკანონებული სახელი **„საქართველო“** და სწორედ ამ სახით დაფიქირდეს იგი გაეროს შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების ნუსხაში.

ანზორ ბაბუხადია – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბატონი დავით უსუფაშვილის დავალებით, პარლამენტის მეცნიერების, განათლებისა და კულტურის კომიტეტმა თავის საგანგებო სხდომაზე მოისმინა ჩემი ინფორმაცია და სათანადო ოფიციალური დოკუმენტით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დაავალა შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ეს უკანასკნელი აბსოლუტურად არაადეკვატურად მოიქცა და საქართველოს პარლამენტს უდიდესი დაგვიანებით აცნობა პასუხი, რომელიც ჩემს მიერ შეფასეული იქნა როგორც: „არაქართული, უსულგულო, არასახელმწიფოებრივი, არამოქალაქეობრივი, არაკომპეტენტური, უპრეცედენტო და არაკაცური“ (№42909/0111.11.16). მიუხედავად ასეთი მკაცრი შეფასებებისა, სამინისტროს ხელმძღვანელობას (გვარს არ ვასახელებ) თითქმის ერთი წლის გასვლის მიუხედავად, ამ წერილზე არავითარი რეაგირება არ მოუხდენია, ანუ, რომ იტყვიან, იგი „შეიტყაპუნა“, თავის გასამართლებელი პოზიციების უქონლობის გამო „ტყვედ ჩაგვბარდნენ“!

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ნების შემთხვევაში, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ქვეყნისათვის სახელწოდების შეცვლის პროცედურა, არავითარ სირთულესთან არ არის დაკავშირებული! შეგახსენებთ, რომ ეს პროცედურა, ჩვენმა ქვეყანამ ერთხელ უკვე, ძალიან მარტივად, გაიარა. აღნიშნულის დასტურად მოგახსენებთ, აგრეთვე, რომ ბოლო პერიოდში ცეილონი გახდა შრი–ლანკა, ბირმას დაერქვა მიანმარი, ზაირს“– კონგო (ადრე იყო პირიქით), სამხრეთ-დასავლეთ აფრიკას – ნამიბია, დაჰომეოს– ბენინი, ზემო ვოლტას – ბურკინა-ფასო და სხვ.

არასახელმწიფოებრივი, უფრო ზუსტად კი დანაშაულებრივი ქმედებაა, როცა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, რომ თითქოს „გაეროს“ წევრი სახელმწიფოების აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს დღემდე მოიხსენიებს, როგორც „ჯორჯია“, რაც მტკნარი სუცრუეა! ჩვენი გაანგარიშებით კი მსოფლიოს მოსახლეობის 52% საქართველოს დღესაც მოიხსენიებს (მათ შორის, ოფიციალურ დონეზეც) „გრუზიად“, 32%- „გურჯისტანად“, დანარჩენი, ანუ უმცირესობა – „ჯორჯიად“. აქედან გამომდინარე, ამას, ჩვენი აზრით, „თვალებში ნაცრის შეყრა“ ჰქვია და სხვა არაფერი!

– **თქველი იდეის განხორციელების შემთხვევაშიც მომავალში, ძალიან დიდხანს, მსოფლიო ხალხების უდიდესი ნაწილი, ჩვენს ქვეყანას, ალბათ, მოიხსენიებს საუკუნეების მანძილზე თავიანთი ენების ყველა ნიუანსების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული სახით. მაგალითად, საქართველო რუსი ხალხისათვის იყო, არის და დარჩება „გრუზიად“.**

– რა თქმა უნდა, მართალი ბრძანდებით. ამაში მეც ღრმად ვარ დარწმუნებული. უფრო მეტიც, ჩვენი ქვეყნისათვის საერთაშორისო დონეზე **„საქართველოს“** სახელწოდების დამკვიდრება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ვინმემ, ვინმეს, ოდესმე უკარნახოს, რომ უნდათ თუ არა, თავიანთ სასაუბრო ენაზე მოგვიხსენიონ როგორც **„საქართველო“**. ეს ძალიან შორეული მომავლის საქმეა და ამ მიმართებით როდის რა მოხდება, ამის პროგნოზირება შეუძლებელია. თქვენი ნებართვით, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, განსახილველი იდეის ხორცშესხმა ეხება მხოლოდ ჩვენი ქვეყნის სახელწოდების დამკვიდრებას საერთაშორისო დონეზე, ანუ ძალიან მარტივად და გასაგებად თუ ვიტყვით, მოვითხოვთ, რომ საერთაშორისო დონეზე მოასპარეზე ჩვენი ქვეყნის სპორტსმენს თავის მაისურზე ეწეროს **„საქართველო“** და არა **„ჯორჯია“**; შინ თუ გარეთ, ჩვენი დიპლომატიური სამსახურების აბრებსა და საქმიანი დოკუმენტის ბლანკებზე ეწეროს „საქართველო“; რუსთაველი მოიხსენიებოდეს, როგორც ქართველი და ა.შ და ა.შ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას მინდა შევახსენო, რომ ამ პრობლემასთან დაკავშირებით მხარდაჭერა გამოგვიხატა აშშ-ში გამომავალმა ჟურნალმა, მის ფურცლებზე გამოქვეყნებული ინფორმაციით. ავტორი ლეონიდ ბერშიდსკი მიიჩნევს, რომ ერთგვარ უხერხულობას ქმნის **„საქართველოს“** ინგლისურენოვანი დასახელება „ჯორჯია“ იმდენად, რამდენადაც მსგავსი შტატი არსებობს აშშ-ში. უფრო მეტიც, ინფორმაციის ავტორი განმარტავს, რომ თავად ქართველები თავიანთ ქვეყანას „საქართველოს“ უწოდებენ. „საქართველო“ მშვენიერი სახელწოდებაა, რომელსაც ინგლისურად მოლაპარაკე ადამიანები ადვილად (იოლად) აითვისებენ. ალბათ, სჯობს, რომ ქართველებმა სათანადო იდენტიფიცირება მოახდინონ და „ჯორჯია“ საქართველოთი შეცვალონ. პატივცემულ მკითხველს შევახსენებ, რომ ეს ინფორმაცია, პირველად სწორედ თქვენმა გაზეთმა გააჟღერა!

– **ბატონო ანზორ, მართალია ხანგრძლივი და ამომწურავი საუბარი გამოგვივიდა, მაგრამ, დასასრულს, თუ შეიძლება, მკითხველთა ფართო წრისთვის ადვილად გასაგებ ენაზე, სქემატურად ჩამოვაყალიბოთ ის მთავარი ფაქტორები, რის გამოც საერთაშორისო დონეზე ჩვენი ქვეყნისათვის „საქართველოს“ სახელწოდების დამკვიდრება დახანებას არ ექვემდებარება.**

– სიამოვნებით.

25 საუკუნეზე მეტი ხნით ადრე, ეგრისის მმართველი ქუჯი და ქართლის, ანუ იბერიის მმართველი ფარნავაზი გაერთიანდნენ და შეიქმნა სახელმწიფო, რომელსაც ეწოდა **„საქართველო“**. გაერთიანებული სახელმწიფოს პირველი მეფე იყო ფარნავაზი, რომელმაც შექმნა ქართული დამწერლობა;

საქართველოს კონსტიტუციით ჩვენი ქვეყნის სახელწოდება, ანუ საკუთარი სახელი არის **„საქართველო“** და მისი თარგმნა არ შეიძლება. რა პასუხს გავცემთ მათ, ვინც შეეცდება თარგმნოს – **„ქართული“** ენციკლოპედია, **„ქართული“** უნივერსიტეტი, ცეკვა **„ქართული“**, სასტუმრო **„საქართველო“**, კინოთეატრი **„საქართველო“** და მრავალი სხვა;

ჩვენს ქვეყანას „ჯორჯია“ დაერქვა სულ ახლახან – 1992 წლის ივლისში, რაც, რა თქმა უნდა, არ არის დაკანონებული საქართველოს კონსტიტუციით;

ისტორიულ და სამეცნიერო წყაროებში ჩვენი ქვეყნის ხალხებს ჰქვია „ქართველური წარმოშობის ხალხები“, ხოლო მათ მოქმედ ყველა ენას „ქართველური ენები“, ამ შემთხვევაში, სიტყვა ქართველური არ ითარგმნება (**Картвельские народы, Картвельские языки**);

მსოფლიო სამეცნიერო წრეებში პერიოდულად ტარდება „საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესები“. მათი ინგლისურენოვანი, ანუ საერთაშორისო შესატყვისის საფუძველი აქაც „ქართველოლოგიაა“ ყოველგვარი თარგმნის გარეშე;

განხილვას არ ექვემდებარება ზოგიერთი ვაიქართველის ან ვაიმეცნიერის პოზიციები საქართველოს სახელწოდებასთან დაკავშირებით. მათ შორის ისეთები, როგორებიცაა: უცხოელს გაუჭირდება სიტყვა „საქართველოს“ წარმოთქმა, რომ ამით დაზარალდება ჩვენი ქვეყნის ცნობადობა; საქართველოს საერთოდ არ უნდა ერქვას „საქართველო“ და ა.შ;

ვისაც მიაჩნია, რომ ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო დონეზე უნდა ერქვას „ჯორჯია“ არ ითვალისწინებენ, რომ მას არ გააჩნია საკუთარი, ანუ ჯორჯიული ენა, დამწერლობა, ისტორია, კულტურა, ხელოვნება, ფოლკლორი და არც ერთი სხვა სათანადო ატრიბუტიკა.

– **ბატონო ანზორ, რაც უფრო უღრმავდებით ამ უსერიოზულეს პროლემას, მით უფრო მეტი კითხვა ჩნდება. იქნებ გარკვეული ხანი დაველოდოთ ხელისუფლების რეაქციას და თანახმა თუ იქნებით, კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ ამ თემას.**

– მადლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, მიმდინარე წლის ბოლომდე, აუცილებლად იტყვიან თავიანთ ლოგიკურ და ადეკვატურ სათქმელს. ასეთი ოპტიმისტური განცხადების უფლებას მაძლევს ორი უმნიშვნელოვანესი გარემოება: პირველი – აკადემიკოს როინ მეტრეველის გამოთქმა – „არ მეგულება ჭკუათმყოფელი კაცი, ვინც მხარს არ დაუჭერს ამ იდეასო“ და მეორე – ჯერ არ შემხვედრია ვინმე, ვინც რაიმე სერიოზულ არგუმენტებზე დაყრდნობით ეწინააღმდეგებოდეს ჩვენი იდეის ხორცსშესხმას!

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18



რატომ დავანგრიეთ ქვეყანა?

ვაგრძელებთ საუბრების ციკლს სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე ბატონ რომან რურუასთან.

რომან რურუა: რატომ დავანგრიეთ ქვეყანა? გვითხრეს, დაანგრიეთო. ვენდეთ და დავანგრიეთ.

არაფერი გინდოდეთ ძველიო, მაგრამ, რატომ იყო დასანგრევი, რა არ გამოუვიდათ და რა შეეშალათ ძველებს? მიფიქრია ამაზე. საქმე ისაა, რომ საკუთრივ კომუნიზმი შეიძლება უტოპია იყოს, მაგრამ სოციალიზმი უტოპია არ არის.

სოციალისტურმა რევოლუციამ შეცვალა მსოფლიოს არსებობის დინამიკა. იმ ხანებში კაპიტალისტურ იმპერიებს კოლონიები ჰქონდათ მსოფლიოს მასშტაბით. სოციალისტური, როგორც სისტემა ახალია, რამაც შეცვალა მსოფლიოს განვითარების მიმართულება, მოსპო კოლონიალისტური წყობა და სახელმწიფოებს მისცა დამოუკიდებელი განვითარების საშუალება. როგორც ვთქვი, კოლონიები დამოუკიდებლები გახდნენ და დღეს მსოფლიოში არც ერთი კოლონია აღარ არსებობს, ერთადერთი კოლონიაა – ფოლკლენდის კუნძულები არგენტინაში და მიმაჩნია, რომ ეს სოციალიზმის დამსახურებაა. ის რომ ყოფილ სსრ კავშირში ვერ ჰპოვა სოციალიზმმა განვითარება, ეს მისი მმართველების – პოლიტიკოსების ბრალია.

ევროპის ქვეყნების მართვაში დღეს სანახევროდ სოციალისტური ელემენტებია, სკანდინავიის ქვეყნებში სოციალისტური ინსტიტუციები ჭარბობს. საუბედუროდ, ჩვენთან სიტყვა სოციალიზმი კომუნიზმთან ასოცირდება, ამიტომ არ არის პოპულარული. თავისი შინაარსით სოციალიზმი ერთი საუკეთესო სისტემა უნდა იყოს, რადგან საერთო საზოგადოებრივი საკითხების ერთობლიობას გულისხმობს, რითაც ყველა მოქალაქე სარგებლობს.

მთლად კარგად არ ვიცნობ, მაგრამ მარქსი აღწერს თავის ნაშრომებში კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის პრინციპებს და პირიქით, სოციალიზმიდან კაპიტალიზმში გადასვლის ეტაპებს. მარქსი მართლაც გენიოსი იყო. მისი იდეები მშვენივრად გამოიყენა ჩინეთის იდეოლოგიურმა მამამ მაო ძე დუნმა, დენ სიაუ პინმა, ჯოუენლაიმ და სხვებმა. ისინი დროულად მიხვდნენ კულტურული რევოლუციის შეცდომებს, შეწყვიტეს ნგრევა და მიიღეს სახელმწიფო მოწყობის ახალი ფორმა – სოციალისტურ-კაპიტალისტური. შედეგი სახეზე გვაქვს. დღეს ჩინეთი უძლიერესი სახელმწიფოა იმიტომ, რომ მის მართვაში სოციალისტური და კაპიტალისტური ელემენტები ერთმანეთთანაა შერწყმული. მალე მოვესწრებით, რომ ჩინეთი უძლიერესი სახელმწიფო იქნება მსოფლიოში.

ახლახან, დონალდ ტრამპმა, რომელიც უდავოდ ჭკვიანი პრეზიდენტია, ის გრძნობს გულით, სულით და ტვინით, ამერიკის უმთავრეს მტრად ჩინეთი გამოაცხადა. სწორია პრეზიდენტი თუნდაც იმ ლოგიკით, რომ მტერი რომ არ გყავდეს, უნდა გაიჩინო, რადგან სწორედ ის „მტერია“, რომ გამოძრავებს, გაძლევს ბიძგს.

შეიძლება ვინმე შემეკამათოს, მაგრამ მე ასე ვხედავ. ეს არის ჩემი მოსაზრება.

უფრო სამწუხარო კიდევ ისაა, რომ ჩვენში წყობილების ნგრევასთან ერთად მოიშალა ადამიანთა შორის ურთიერთობის ტრადიციული ფორმები და დღეს ადამიანები იმ დონემდე მივიდნენ, რომ ყველაფერს ანგრევენ, აფუჭებენ, სპობენ, საკუთარი მესთვის, პირადი კეთილდღეობისთვის...

ხოლო სხვა დანარჩენი ფუფუნების საგანია. გვქონდა განათლების განვითარებული სისტემა, სოფლის მეურნეობა, მსუბუქი მრეწველობა, ქიმიური მრეწველობა, კვების მრეწველობა, ელექტროენერგიის წარმოება, ხე-ტყის დამუშავების წარმოება, ქაღალდის წარმოება, ქვანახშირის წარმოება, გვქონდა საკონსერვო და წვენების ძლიერი ქარხნები, ღვინის ქარხნები, ჩაის მრეწველობა და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი რამ.

ალბათ, ყველას გვახსოვს, პირველი გაიყიდა ჩაის მრეწველობა 50 მილიონად, დაიჭრა ფაბრიკა-ქარხნები და ჯართში ჩაბარდა. რა მივიღეთ სანაცვლოდ? ნული! ზარალის გარდა არაფერი მიგვიღია. ანუ 50 მილიონად გაიყიდა დარგი, რომელიც აწოდებდა ჩაის პროდუქციას მთლიანად საბჭოთა რესპუბლიკებს. ანუ საბჭოთა სივრცეში ბაზარი გაიყიდა 50 მილიონად. ასევე უცხოელების კარნახით გაიყიდა მრეწველობის ბევრი დარგი: ქვანახშირის წარმოება, მეტალურგია და სხვა. ყოველივე ეს და მსგავსი მოქმედება იყო კორუფციული.

ამდენად, ჩავიდინეთ გამოუსწორებელი შეცდომები. ამისთანა კორუფციულ გარიგებებში ყველა ადრინდელ მთავრობას ჰქონდა ხელი ჩაყოფილი. საქართველოში 9 მილიარდ კვ. სთ. ელექტროენერგია გამომუშავდებოდა. ყველას კარგად გვახსოვს, გვეუბნებოდნენ, საქართველოში ელექტროენერგია არ არისო. რატომ არ იყო? არც მდინარეებს შეუცვლიათ კალაპოტი და არც გაზის მოწოდება შეწყვეტილა? მიუხედავად ამისა ქვეყანა წყვდიადში გაეხვია, ელექტროენერგიის არქონის გამო გაჩერდა ფაბრიკა-ქარხნები და მრეწველობა მთლიანად. წარმოებას რომ თავი დავანებოთ, მოსახლეობისთვის 4–5 მილიარდი კვ.სთ. ენერგია სრულიად საკმარისი იყო და 9 მილიარდის მწარმოებელ ქვეყანაში ოჯახებში წლების განმავლობაში ერთი ნათურაც კი არ ინთებოდა. რაზე მიანიშნებს ყველაფერი ეს? არ არის ამის ანალიზი გასაკეთებელი? ამ და მსგავს საქმეებზე ანალიზის გაკეთება ხომ შეიძლება?!

დღესაც ამ კორუფციული გარიგებების გზით მივდივართ. მაგალითები ბევრი გვაქვს.

რატომ დავანგრიეთ, ვინ დაგვანგრევინა, ვის დავუჯერეთ – შევარდნაძეს თუ სააკაშვილს? ვინ მბრძანებლობდა მათ, რომ ასეთი საქმე ჩაიდინეს? ისინი ვიღაცის ზეგავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი და დღევანდელ მთავრობას ამ კლანჭებიდან გამოსვლა გაუძნელდება.

საკითხები, რომლის შესახებაც ვსაუბრობ, მსოფლიო საფინანსო ორგანიზაციების, მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდის და მსხვილი კორპორაციების გარეშე ვერ მოხდებოდა, რადგან დასანგრევად ფული მათ გამოყვეს და ეს ფული დღეს ქვეყნის საგარეო ვალად არის მიჩნეული. დანგრევით კი დაგვანგრევინეს, მაგრამ ასაშენებლად ფულს არავინ მოგვცემს. ხოლო თუ ვინმემ ინვესტიციის სახით ააშენა და გააკეთა რამე, ეს მისი საკუთრებაა და არა საქართველოსი, რადგან ინვესტიციაში ჩადებული ფული, ისევ ქვეყნის გარეთ გაედინება. ეს ერთჯერადი კი არა, მუდმივი გადინებაა და ასე ქვეყანა არ აშენდება.

ძალიან კარგად მახსოვს, როცა ვერ დააჩოქეს საქართველოს ეკონომიკა და მრეწველობა, პირველ რიგში, გაასხვისეს მრეწველობის მთავარი კომპონენტები: დენი, წყალი და გაზი, რომელიც უცხო კომპანიების ხელში მოხვდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ამან გამოიწვია ფასების ზრდა.ფასების ზრდას მოჰყვა ადგილობრივი წარმოების პროდუქციის გაძვირება და უცხოური იაფფასიანი პროდუქციის შემოპარება, ამას კი ბაზრის დაკარგვა. თუ რამე დანაზოგი გააჩნდა ხალხს, თავის გადასარჩენად ყველაფერი გაყიდა და იყიდა ჩვენს ბაზარზე შემოსული უცხოური პროდუქცია, ფული საზღვარგარეთ გავიდა, საქართველო გაღარიბდა. დღემდე ასეა, ამას ქვეყანა დიდხანს ვერ გაუძლებს. ამას მოჰყვება მოსახლეობის მღელვარება. გამოდის, რომ უახლოეს რევოლუციებს ჩვენთვის არაფერი არ მოუტანია.

დღეს საბაზრო ეკონომიკა საქართველოში ცხოვრობს მხოლოდ შემომტანი ორგანიზაციებისათვის, ან პიროვნებებისათვის. რადგან ადგილობრივი ბაზარი

მათ ხელშია. აღმოჩნდა, რომ პროდუქციის შემომტანს არაფერი სარგებელი არ მოაქვს, იმიტომ რომ, გააქვს ქვეყნიდან ვალუტა. გატანილ ვალუტას თუ შემოტანილ სარგებელთან შევადარებთ, ზარალი უდაოდ დიდია. თუ შემოტანილი და გატანილი პროდუქციის მოცულობა არ ბალანსდება, ანუ შემოტანილი გატანილზე მეტი თუ არის, ქვეყნა არ მდიდრდება.

უნდა გადავიდეთ საკუთარ ქვეყანაში ადგილობრივი წარმოების განვითარებაზე. თითქოსდა დღეს რაღაცები კეთდება ამ მიმართულებით, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია.

ადამ სმიტზე უკეთესად დღემდე არავის უთქვამს: – თუ გინდა, რომ შენი ქვეყანა მდიდარი იყოს, უნდა ეცადო, ისეთი პროდუქცია გამოუშვა, რომლის გატანას შეძლებ სხვა ქვეყანაში, შესაბამისად, უნდა ეცადო, რომ ნაკლები პროდუქცია შემოიტანო და მეტი გაიტანო. აი, მაშინ მდიდრდება სახელმწიფო. თუ პროდუქციას უშვებთ ქვეყნის შიგნით და არ გაგაქვთ გარეთ, გამოდის, რომ ფული გადადის ხელიდან ხელში და ქვეყანა არ მდიდრდება.

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მთავარი პრინციპია, ვისაც რა უნდა, ის გამოაქვს ბაზარზე და პროდუქციას ფასსაც თავისი სურვილის მიხედვითთ ადებს. ეს შეიძლება იყოს შიდა საბაზრო ეკონომიკა, ან საერთო მსოფლიო საბაზრო ეკონომიკა. ანუ, ეს ნიშნავს, რომ გარკვეულ სახელმწიფოებს შორის არის ხელშეკრულება და ეს ქვეყნები ერთმანეთში ვაჭრობენ. ეს ნორმალურია და კარგია. საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად, ქვეყანას შეუძლია პროდუქცია გაიტანოს საერთაშორისო ბაზარზე, მაგრამ ღვინის გარდა არაფერს ვაწარმოებთ და რა უნდა გავიტანოთ? სხვა დანარჩენი უცხო კომპანიების ხელშია. წარმოების საშუალებები საკუთარი ხელით დაგვანგრევინეს და როგორ აწარმოებ პროდუქციას, რომელიც ბაზარზე უნდა გაიტანო? გარეთ გასატანი პროდუქცია კი არა, შიდა ბაზარზე შესატანი პროდუქცია არ გვაქვს, საკუთარი ბაზარი დავკარგეთ. აქედან, თუ გინდა, რომ შენი ქვეყანა განვითარდეს, ჯერ შიდა მრეწველობა უნდა განავითარო, შიდა ბაზარი უნდა გქონდეს დაპყრობილი და ამის შემდეგ უნდა იფიქრო გარე ბაზარზე გასვლა. ამის წინაპირობა უთუოდ გახლავთ მეზობელ ქვეყნებთან კარგი ურთიერთდამოკიდებულება.

სამწუხაროდ, ჩვენთან არ არსებობს საბაზრო ეკონომიკა, ჩვენთან არის რუსულად რომ ვთქვა, не рыночная, а базарная экономика. მეტსაც ვიტყოდი, ჩვენთან ბაზარი კი არა, ბარდაგია.

ამრიგად, მივიღეთ ფორმულა: შიდა ბაზარი დავკარგეთ და გარე ბაზარზე გვინდა შესვლა. სასაცილოა. არსებული მდგომარეობა მემკვიდრეობით ერგო დღევანდელ ხელისუფლებას, მაგრამ ვერ დაძლია ეს სირთულეები.

დღეს როგორ გამოიყურება საქართველოს ბაზარი, საინტერესო თემაა. დღევანდელ მთავრობას გადანაწილებული დახვდა საბაზრო ეკონომიკაში მრეწველობის თითქმის ყველა დარგის სეგმენტი და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, საქართველოში ყველა სეგმენტს თავისი პატრონი ჰყავს. შემომტან ორგანიზაციებს არ შეიძლება უყვარდეთ კონკურენტი. მაგალითად, თუ ქვეყანაში ვინმე დაიწყებს რაღაც ახალი პროდუქციის შექმნას და წარმოებას, შემომტანი ორგანიზაციები დაესევიან და ნაკუწ-ნაკუწ აქცევენ. თუ ცოცხალი გადარჩი, ხომ კარგი, თუ არადა, შეიძლება სიკვდილიც გამოგიწერონ.

ბაზარზე ტრიალებდა და ტრიალებს სამი სახის პროდუქცია: ლიცენზირებული, ულიცენზიო და მეორადი, ანუ ჩამოწერილი ლიცენზირებული საქონელი. ულიცენზიო პროდუქციის მოცულობა არის 85%, ანუ ქვეყნის ბაზარი წალეკილი აქვს საქონელს, რომელიც არ უნდა გამოდიოდეს ბაზარზე. მაგრამ ეს ულიცენზიო პროდუქცია თუ საქართველოშია წარმოებული, მწარმოებელს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება, ხოლო თუ უცხოეთში – თავისუფლად იყიდება აქაურ ბაზარზე. სახელმწიფო ორგანოები ხმას არ იღებენ.

უფრო გასაგები რომ იყოს, ასე ავხსნი: სამი თუ ოთხი წლის წინ საქართველოს მთავრობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თაობაზე რეგიონალურ შეხვედრებს მართავდა ბიზნესმენებთან და მეწარმეებთან. ერთ-ერთ შეხვედრაზე მეც მომიწია დასწრება. მთავრობის წევრების გამოსვლის შემდეგ დარბაზს მიმართეს, აღნიშნულ საკითხთან კითხვები თუ გაქვთო. დარბაზიდან მსურველი არავინ აღმოჩნდა. ვიღაცამ ხმამაღლა წამოიყვირა, მიკროფონი გადაეცით რომან რურუასო. ჩემთვის მოულოდნელი იყო და არც ვაპირებდი რაიმე კითხვის დასმას, მაგრამ მიკროფონი გადმომცეს და მეც ჩემი სათქმელი ვთქვი: ბატონებო, ჩვენი დღევანდელი შეხვედრა ეძღვნება ეკონომიკისა და მრეწველობის განვითარებას, მე წარმოვადგენ მრეწველების ინტერესებს. როდესაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში უნდა ვიცოდეთ ქვეყნის შიდა ბაზრის მდგომარეობა. როგორც თქვენთვის ცნობილია ქვეყნის შიდა ბაზარზე დღეს 85% ულიცენზიო პროდუქცია ტრიალებს. დარბაზში ატყდა ფუსფუსი. მთავრობამ ერთმანეთს გადაუჩურჩულა. ერთ-ერთი მთავრობის წევრი მეუბნება, ბატონო რომან, თქვენ ლაპარაკობთ ქვეყანაში კონტრაბანდაზე? მე ვპასუხობ, დიახ ბატონო, კონტრაბანდაზეც და უფრო უარესზეც. დარბაზი ახმაურდა. ამის შემდეგ დგება ფინანსთა მინისტრი და მეუბნება, ბატონო რომან, ამ თემაზე სასურველია შევხვდეთ და დავილაპარაკოთო. მეორე დღესვე შევიძინე ის უცხოური ულიცენზიო პროდუქციები, რომელიც ჩვენს ბაზარზე თავისუფლად იყიდება. ფინანსთა სამინისტროში ოთხჯერ დავრეკე, ოთხჯერვე ერთი და იგივე მიპასუხეს, ვიცით თქვენს შესახებ, დაგიკავშირდებითო. დღემდე არავინ შემხმიანებია.

ამ დიალოგის შეფასება თქვენთვის მომინდია.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

(გაგრძელება იქნება)

თუ სააკაშვილს საქართველოში ვიხილავთ, ვიხილავთ მხოლოდ ხელბორკილებში

რას ფიქრობენ და რა მოსაზრებები აქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველ პოლიტოლოგებს?

გთავაზობთ მათ მოსაზრებებს.

●

ვახტანგ მაისაია, პოლიტოლოგი:

— ბატონო ვახტანგ, რას გვეტყვით უკრაინაში ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებზე?

— მიხეილ სააკაშვილმა დაარღვია უკრაინის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, რითაც, მას, სავარაუდოდ, 3–7 წლიანი პატიმრობა ემუქრება სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთისა და ძალოვანი სტრუქტურებისადმი დაუმორჩილებლობის კუთხით. ის უკვე სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მონაწილე გახდა და როგორც უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მეთაური, შეუდგა სახელმწიფო გადატრიალების პროცესის დაწყებას უკრაინაში.

როგორც ჩანს, გარკვეული გეოპოლიტიკური ძალებისთვის პოროშენკოს მმართველობა მიუღებელი გახდა და მთავარ "ტორპედოდ" ამ პოლიტიკურ "პინოკიოს" იყენებენ. სააკაშვილის გვერდით იულია ტიმოშენკოც ვიხილეთ. სავარაუდოდ, იგი ხელისუფლების ხელში ჩაგდებას შეეცდება.

სიტუაცია უკრაინაში იმაზე უფრო საგანგაშოა, ვიდრე ეს ვინმეს წარმოუდგენია.

●

ვალერი კვარაცხელია: **ჟურნალისტი, პოლიტოლოგი.**

— სააკაშვილი საქართველოში ოლიგარქიასთან ბრძოლის იდეით მოვიდა, მაგრამ ეს ოლიგარქიულ სისტემასთან ბრძოლა კი არ იყო, არამედ ცალკეული, მისთვის მიუღებელი მილიონერების ძარცვა. ნამდვილ ოლიგარქიასთან სააკაშვილი მშვენივრად თანამშრომლობდა და იკვებებოდა კიდეც მათი კაპიტალით.

სააკაშვილი მართლა ოლიგარქიასთან მებრძოლი რაინდი კი არ არის, მსოფლიო ოლიგარქიის ყურმოჭრილი ყმა და კაპიტალისტური ცხოვრების წესის ის სამარცხვინო პროდუქტია, ვის გონებაშიც სოციალური სამართლიანობის შესახებ ნამდვილსა და ნათელ აზრს არასოდეს შეუღწევია.

ის უკრაინელები, რომლებიც ხან იუშჩენკო-ტიმოშენკოს, ხან პოროშენკო-ტურჩინოვიაცენიუკის მიერ გაღვივებული ფაშისტური ბაცილით დაავადდნენ და მათი სამარცხვინო წინაპრის ბანდერას დროშას დააფრიალებენ, ახლა საერთაშორისო მასშტაბის პოლიტიკურ თაღლით სააკაშვილში ხედავენ მესიას და ვერ აცნობიერებენ მოღალადე ფაქტს იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა პერიოდში ყოველმხრივ აყვავებული და გაფურჩქნილი რესპუბლიკა უკვე საბოლოოდ დაანგრიეს, დააქციეს და გააპარტახეს.

●

პოლიტოლოგი, ექსპერტი ორგანიზაციაში **„Caucasian & Ceorgian Sitizens“**, ბატონი **გია კუჭავა.**

— ბატონო გია, სააკაშვილი უკრაინაში დაბრუნდება. რას იტყვით ამაზე?

— სააკაშვილი არის გაუწონასწორებელი ტიპაჟი, მაგრამ მას აქვს გარკვეული ქარიზმა, რაც გამოჩნდა კიდევაც 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ დროს. უკრაინაში მას ჰყავს მხარდამჭერები, ისევე, როგორც 2003 წელს უშიშროების საბჭოში ჰყავდა სერიოზული მხარდამჭერი ვალერი ხაბურძანიას სახით...

დღეს რაც ხდება უკრაინაში, ყველაფერს პოროშენკოს აბრალებენ: ვერ მოსპო კორუფცია და ვერ დაალაგა ქვეყანაო, მაგრამ მას შემდეგ, რაც სააკაშვილის გუნდი მოვიდა უკრაინის ხელისუფლებაში, ყველამ დაინახა, როგორ გაღვივდა კორუფცია უმაღლეს ეშელონებში. სააკაშვილმა იქაც იგივე გაიმეორა, რაც საქართველოში. ის არ

ახარებდა იმ ხალხს, რომლებიც მას და მის გუნდს უკრაინაში ფინანსურად არ უზრუნველყოფდა. ეს თანხები კი მას იმისათვის სჭირდებოდა, რაც შეიძლება მიახლოებოდა უკრაინაში პირველი პირის სავარძელს.

— საქართველოში ჩამოსვლა ხომ არ შეიძლება იყოს მეორე თამამი ნაბიჯი სააკაშვილისთვის?

— სააკაშვილი ბუნებით არის ავანტურისტი, მაგრამ, თუ მყარი გარანტიები არ ექნება, ის არასდროს არაფერს აკეთებს!

— როგორი მომავალი აქვს სააკაშვილს, როგორც პოლიტიკოსს, სადამდე შეიძლება ასე გაგრძელდეს?

— მე ვფიქრობ, რომ სააკაშვილის ეპატაჟურობა შეიძლება სადღაც შეწყდეს, მაგრამ პოლიტიკაში არასოდეს არ უნდა თქვა არასოდეს. ის შეიძლება კიდევ მრავალჯერ გამოიყენონ მსგავსი გლობალური სკანდალების მოსაწყობად. ეს, თავისთავად ცხადია, არ არის სასიამოვნო რეალობა ან პერსპექტივა, მაგრამ რა ჰქნას სააკაშვილმა? მას ახრჩობს და კლავს ძალაუფლების სურვილი.

თუ მას საქართველოში ვიხილავთ, ვნახავთ მხოლოდ ხელბორკილებით. საქართველოში მას რეალურად ჰყავს მხარდამჭერები, თუმცა, სავარაუდოდ, არც მათ სურთ ხელისუფლებაში კვლავ სააკაშვილი იხილონ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ძლიერი რეგიონები

გორი

„დანერგე მომავალი“ – საქართველოს მთავრობის წარმატებული პროექტები გორში

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარბში ოთარ ზარიძემ პროექტის – „დანერგე მომავლის“ ფარგლებში ახალი ხეხილის ბაღი 2015 წელს გააშენა. სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა და შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილემ, სიმონ გულედანმა აღნიშნული ვაშლის ბაღი მოინახულეს და მოსავლის კრეფის პროცესს დაესწრნენ. ოთარ ზარიძე პროგრამაში 2015 წელს ჩაერთო და 3.99 ჰექტარზე ვაშლის ბაღის გაშენებისა და სარწყავი სისტემის მოწყობისთვის 39 900 ლარის სახელმწიფო დაფინანსება მიიღო. დაფინანსებიდან 29 988 ლარი ნერგებისთვის, ხოლო 9 912 ლარი წვეთოვანი სისტემებისთვის იყო განკუთვნილი. ოთარ ზარიძემ კუთვნილ ფართობზე 4 სხვადასხვა ჯიშის ვაშლის ბაღები გააშენა და წელს პირველი მოსავლის სახით 50 ტონა ვაშლს ელოდება. ბაღში 10 ადამიანია დასაქმებული. ბენეფიციარმა ასევე ისარგებლა კიდევ ერთი სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამით და, შეღავათიანი აგროკრედიტის სახით, ბაღის მოწყობა-გაფართოებისთვის 175 000 ლარი აიღო.

„დანერგე მომავლის“ პროექტის ფარგლებში შიდა-ქართლის რეგიონში სულ 1169 ჰა მიწის ფართობზე გაშენდა მრავალწლიანი კულტურის სხვადასხვა ხეხილის ბაღები, ხოლო გაცემულმა დაფინანსებამ შეადგინა 7 703 963 ლარი. ახალი ხეხილის ბაღების გაშენებისა და სარწყავი სისტემის მოწყობისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით გაშენებელი ფართობი, დღეის მონაცემებით, შეადგენს 3 600 ჰექტარს, ხოლო დაფინანსების მოცულობა 18 მილიონ 202 307 ლარს.

ბაღდათი – სოფლების კეთილმოწყობა

ბაღდათის მუნიციპალიტეტში შიდასაუბნო გზების გაწმენდით-სარემონტო სამუშაოები გრძელდება. სოფელ ზედა დიმში დასრულდა ბონდის ხიდის რეაბილიტაცია. ხიდი კვირიკაძეების, მაისურაძეებისა და ახალაძეების უბნებს ერთმანეთთან აკავშირებს.

წყალტუბო – ეკოლოგიური გარემოს შესაქმნელად

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დარბაზში გაიმართა წყალტუბოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვა. შეხვედრის ორგანიზატორები არიან საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა.

გარემოზე ზემოქმედების საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობენ მუნიციპალიტეტში. ანალოგიური განხილვა სოფელ გვიშტიბში გაიმართა.

გურჯაანი – ახალი მუზეუმი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხეში წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სახლ-მუზეუმის მშენებლობა დასრულდა. განახლებული სახლ-მუზეუმი მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა გაგი ბუაძემ, წმ. გრიგოლ ფერაძის შთამომავლობამ და პოლონეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა გახსნეს. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ პარლამენტარები, დიპლომატები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირები. პოლონურმა დელეგაციამ სახლ-მუზეუმს წმ. მღდელმოწამე გრიგოლ ფერაძის მემორიალური დაფა გადასცა.

ხარაგაული – პრევენციული ღონისძიებები სოფლად

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიმდინარეობს პატარა მდინარეებისა და ღელეების გამწმენდი სამუშაოები. ეს არის პროფილაქტიკური ღონისძიებები, რომლებიც ფაქტობრივად პრევენციის ხასიათს ატარებს უხვნალექიანობის დროს წარმოქმნილი პრობლემების თავიდან ასაცილებლად. ამჯერად ხარაგაულში რაზიელას ღელე გაიწმინდა. მსგავსი სამუშაოები რეგულარულად ჩატარდება მუნიციპალიტეტის სოფლებში.

დედოფლისწყარო – შეხვედრები მოსახლეობასთან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი რეგულარულად ხვდება მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების მოსახლეობას. ამჯერად ნიკოლოზ ჯანიაშვილი სოფელ გამარჯვების ადმინისტრაციულ შენობაში ადგილობრივ მოქალაქეებს შეხვდა და მათგან პირადად მოისმინა სოფლისთვის საჭირბოროტო საკითხებზე ინფორმაცია. გამგებელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მათ პრობლემების მოგვარებას დაჰპირდა.

ყვარელი – კარგი გზა ყველა სოფელს

მუნიციპალიტეტის სოფელ ბალღოჯიანთან მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოების მეორე ეტაპი დასრულდა. მოუწესრიგებელი გზა, რომელიც წლების განმავლობაში ადგილობრივებს დიდ პრობლემებს უქმნიდა, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად იყო მიჩნეული. ამ დროისთვის, გზის 1800-მეტრიან მონაკვეთზე ორფენიანი ასფალტის დაგებაზე 694 395 ლარი დაიხარჯა. ეს თანხა რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოიყო.

ამბროლაური – სოფლის მოსახლეობაზე ზრუნვა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სადმელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ძირაგეულში ცემენტბეტონის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დასასრულს უახლოვდება.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მალხაზ ლომთათიძემ გამგეობის სხვა თანამშრომლებთან ერთად ინფრასტრუქტურული და გზების მშენებლობის პროცესები დაათვალიერა.

მუნიციპალიტეტის გამგებელი ადგილზე გაეცნო ასევე ბუგეულის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფ. ბუგეულში სასმელი წყლის მიწოდების პრობლემას.

ხარაგაული

ზუგდიდში დევნილებისთვის ოთხი მრავალსართულიანი კორპუსი აშენდება

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ ზუგდიდში, საცხოვრებელი ფართის მიღების მოთხოვნით, დევნილი ოჯახების განაცხადების მიღება დაიწყო.

ზუგდიდში, ბარამიას ქუჩაზე, ოთხი თორმეტსართულიანი კორპუსი შენდება, სადაც ბინა 240 დევნილ ოჯახს გადაეცემა.

ახალაშენებულ კორპუსებში საცხოვრებელი ფართის მიღების მოთხოვნით განაცხადის შევსება სამეგრელოს რეგიონსა და თბილისში რეგისტრირებულ დევნილ ოჯახებს შეუძლიათ.

განაცხადები მიიღება 2017 წლის 4 ნოემბრამდე, შემდეგ მისამართებზე:

• თბილისი, თამარაშვილის ქ. N15ა, დევნილთა და განსახლების სამინისტროს მისაღები ცენტრი;

• ზუგდიდი, ხუბულავას ქ. N6, სამინისტროს ტერიტორიული სამმართველო.

საერთაშორისო საბავშვო-საყმაწვილო კინოფესტივალი აბაშაში

აბაშის პირველ საერთაშორისო საბავშვო-საყმაწვილო კინოფესტივალზე უჩვენეს 36 ქვეყნის 180 მოკლემეტრაჟიანი ფილმი. კინოფესტივალის 4 დღე სხვადასხვა ღონისძიებითაც იყო დატვირთული: გაიმართა ქართული ფოლკლორის საღამო, აბაშელი მგოსნის, კაჟან ცისკარელის (ირაკლი ქოიავა) იუბილესადმი მიძღვნილი, მოეწყო ექსკურსია ნოქალაქევსა და მარტვილში, გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და მარტვილის მონასტერში

კინოფესტივალის საკონკურსო ფილმებს აფასებდა საერთაშორისო ჟიური. შვიდ ნომინაციაში გამარჯვებულებს პრიზები და სერტიფიკატები გადაეცათ. სიმბოლური საჩუქრებით დაასაჩუქრეს აგრეთვე უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები. აბაშას

გურჯაანი

ძლიერი საქართველოსთვის

მარტვილი

ათამდე ქვეყნის დელეგაცია სტუმრობდა, მათ შორის იყვნენ მეზობელი აზერბაიჯანის, ბულგარეთის, პოლონეთის და მსოფლიოს სხვა ქვეყნის წარმომადგენლები.

კინოფესტივალის მხარდამჭერია აბაშის მუნიციპალიტეტი.

მარტვილში სანიაღვრე არხების მოწყობა გრძელდება

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ალექსანდრე გრიგალავამ მარტვილი-აბაშის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის 30–32 კმ მონაკვეთზე სანიაღვრე არხების მოსაწყობად მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში სანიაღვრე არხთან ერთად გზის ორივე მხარეს მოეწყობა ტროტუარები, მონოლითური რკინაბეტონის კიუვეტები, არსებული საკომუნიკაციო ჭები და ეზოში შესასვლელები კი შეკეთდება.

პროექტის ღირებულება 1447 768 ლარია. სამუშაოზე ამ ეტაპზე დასაქმებულია 15 ადამიანი. პროექტს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს.

ჩხოროწყუ – თათბირი გამგებელთან

მუნიციპალიტეტის გამგებელი დათო გოგუა, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს სატყეო უბნის უფროს რობერტ ხარებავასთან ერთად, გამგებლის წარმომადგენლებს შეხვდა. ზამთრის სეზონთან დაკავშირებით, ტყეკაფის გამოყოფის საკითხზე იმსჯელეს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოიყოფა ტყეკაფი, სადაც მოსახლეობა შეუფერხებლად შეძლებს საშეშე მასალის მოპოვებას.

დათო გოგუამ გამგებლის წარმომადგენლებისგან მიიღო ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების ახალი სასწავლო წლისთვის მზაობის შესახებაც.

შეხვედრაზე განიხილეს აგრეთვე აზიური ფაროსანას საწინააღმდეგოდ მიმდინარე ღონისძიებები.

ახალი გზა წალენჯიხა-ჩხოროწყუს მოსახლეობისთვის

წალენჯიხა-ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების მცხოვრებლები ახალი გზით ისარგებლებენ. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი 10 კმ-იანი გზის რეაბილიტაციას უახლოეს პერიოდში დაასრულებს. აღნიშნული საავტომობილო გზის მონაკვეთზე იგება ასფალტის საფარი და ეწყობა სანიაღვრე არხები.

სამუშაოებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე, მხარის გუბერნატორთან ლევან შონიასთან ერთად გაეცნო. მინისტრი პროექტების მონიტორინგს საქართველოს მასშტაბით განაგრძობს და რეგიონებში შიდა გზებზე არსებულ ვითარებას ეცნობა.

აღნიშნულ გზაზე ასფალტის საფარის დაზიანების შედეგად, გადაადგილება ჭირდა და მოსახლეობისთვის გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენდა. პროექტის შედეგად, სრულად მოწესრიგდება საგზაო ინფრასტრუქტურა და ადგილობრივები კომფორტული გზით შეძლებენ გადაადგილებას.

ბორჯომში ე.წ. დიდი ხიდის რეაბილიტაცია დასრულდა

ხიდზე მასშტაბური სამუშაოების ფარგლებში სრულად განახლდა გზა და ტროტუარები, შეიღება და შეილესა ბურჯები, მოაჯირები და არსებული მილსადენი, ხიდთან გამავალ მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზებთან კი მოეწყო სპეციალური დამცავი ბადეები.

ე.წ. დიდი ხიდი ცენტრალურ მაგისტრალს ქალაქის მთავარ ქუჩებთან აკავშირებს. პროექტი

თეთრიწყარო

რეგიონალური განვითარების ფონდისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის ერთობლივი დაფინანსებით მიმდინარეობდა.

აღსანიშნავია, რომ წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღდგენილია აგრეთვე ოთხი საფეხმავლო ხიდი.

ჩხოროწყუ

სოციალური პროექტები რუსთავში

რუსთავის მერი დავით ჯიქია, მერის მოადგილე ნოდარ შეროზია, ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ნინო ლომიძე, გოჩა შავაძე და თვითმმართველობის სხვა წევრები საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წარმომადგებლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე, პროექტის – „ეფექტური მინდობით აღზრდის მომსახურების განვითარება“ – ფარგლებში, რუსთავის მუნიციპალიტეტსა და სოციალურ მუშაკთა ასოციაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი ქალაქის მერმა დავით ჯიქიამ და ასოციაციის დირექტორმა ნინო შატბერაშვილმა მოაწერეს.

ბოლნისი – ახალი გზა დაბა კაზრეთში

მიმდინარე წელს დაბა კაზრეთის მოსახლეობისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა – კომპანია„ არემჯის“ მიმართულებით მიმავალ საავტომობილო გზაზე საფარი დაიგო და გზა საზეიმოდ გაიხსნა.

1100 მეტრის მონაკვეთზე მოეწყო 22 სმ-ის სისქის ბეტონის საფარის გზა, ტროტუარებითა და სანიაღვრეებით.

პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა, საერთო ღირებულებით 700 000 ლარი.

თეთრიწყარო – საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება

ქალაქ თეთრიწყაროში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს თავდადებულის, მუსხელიშვილის, რუსთაველის ჩიხის, გამსახურდიას, პუშკინისა და წერეთლის ქუჩებზე.

სამუშაოების დასრულების შემდეგ გაუმჯობესდება ქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურა, შეიქმნება ტრანსპორტითა და ფეხით მოსიარულეთა კომფორტული, უსაფრთხო გადაადგილების პირობები.

მიმდინარეობს აგრეთვე რუსთაველის ჩიხის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ღირებულება ხელშეკრულებით შეადგენს 74282 ლარს.

სამუშაოების დასრულება სექტემბრის მეორე დეკადაში იგეგმება.

წალკის სოფლებს სარწყავი წყლის პრობლემა მოუგვარდებათ

წალკის მუნიციპალიტეტის 5 სოფლის 1100 ჰექტარზე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი სარწყავი წყლით გახდება უზრუნველყოფილი

რეაბილიტაცია უტარდება მაგისტრალურ და I რიგის გამანაწილებელ არხებს. პროექტი 2017 წლის ბოლოსთვის დასრულდება

2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე ქვემო ქართლის რეგიონში განხორციელდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 27 სარეაბილიტაციო პროექტი. შედეგად, წყალუზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 46 255 ჰექტრამდეა გაზრდილი.



ემუქრება თუ არა დედამიწას უცხოპლანეტელების შემოსევა?

უცხოპლანეტელები – ბოროტი სულები ანუ დემონები არიან! კოსმიური ტექნოლოგიის სფეროში მომუშავე მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ უცხოპლანეტელები არასოდეს მოფრენილან დედამიწაზე. ბიბლიაში ნათლად წერია, რომ არსებობენ ბოროტი სულები, ანუ დემონები, რომლებიც ეცხადებიან ადამიანებს, და ამ უკანასკნელთაც სწორედ მათთან ჰქონდათ საქმე და არა უცხოპლანეტელებთან. ნასა-ს მეცნიერ-მრჩეველმა ელსვორტ გერელზმა თავისი ლექციის მსვლელობისას, რომელიც მოეწყო ასოციაციაში „ემმანუელი“. დასმულ კითხვას: „არიან თუ არა ნეფილიმები – უცხოპლანეტელები?“ უპასუხა- ნეფილიმები სულაც არ არიან უცხოპლანეტელები, არამედ, „უცხოპლანტელები“ სინამდვილეში არიან ნეფილიმები ანუ ბოროტი სულები. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ნათელია: „უცხოპლანეტელები“ – არიან დაცემული ანგელოზები, ბოროტი სულები, დემონები...ბიბლიის ერთ-ერთ ყველაზე ძნელად გასაგებ ადგილად ითვლება დაბადების წიგნში გადმოცემული ამბავი „ღვთისშვილებსა“ და „კაცთა ასულებს“ შორის არსებულ ინტიმურ კავშირთა შესახებ, რომლის შემდეგაც ბიბლია დედამიწაზე ბუმბერაზების გამოჩენაზე, კაცობრიობის უკიდურეს გარყვნილებასა და მსოფლიო წარღვნით მის განადგურებაზე მსჯელობს, რომლისგანაც მხოლოდ კიდობანში შესული ნოე და მისი ოჯახიღა გადარჩა... ბოლო ათწლეულებში უცხოპლანეტელთადმი რწმენა თითქმის რელიგიური აღტყინებით აღენთო. იმოწმებენ მრავალ ფაქტსა და შემთხვევას, როდესაც ადამიანები ამტკიცებენ, რომ თითქოსდა ისინი უცხოპლანეტელებმა მოიტაცეს. აჩვენებენ დოკუმენტურ ფილმებს – მაგალითად, უცხოპლანეტელის გვამის გაკვეთის კადრებს, რომელიც ვითომ-ცდა „მფრინავი თეფშის“ კატასტროფის დროს დაიღუპა. ბუნდოვანმა კადრებმა საყოველთაო ყურადღება მიიპყრო, კადრები უფოლოგთა საერთაშორისო კონგრესზეც განიხილებოდა. ამას მოჰყვა შესაბამისი ძირითადად ჰოლივუდური მხატვრული ფილმები – უცხოპლანეტელთა შემოსევის შესახებ ....დღეს, მსოფლიო მასმედიაში ყოველთვიურად მატულობს შეტყობინებები და პუბლიკაციები, რომლებიც ასახავენ უცხოპლანეტელთა ვიზიტებს ჩვენს პლანეტაზე. ფაქტია, რომ დედამიწის მოსახლეობას „უცხოპლანეტელთა ცივილიზაციებთან“, ანუ დემონებთან შესახვედრად ამზადებენ. შესაძლოა მალე კაცობრიობაზე უცხოპლანეტელთა თავდასხმის ისტერია დაიწყოს. მაგრამ, უნდა გვახსოვდეს, რომ საშიშროების ან რაიმე ხსნის მოლოდინი კოსმოსიდან ანტიქრისტეს და მის ერთგულ მსახურთა ხრიკია. ეს დაცემული ანგელოზის ყველაზე უდიდესი ეშმაკობა იქნება: კაცობრიობა ხსნას მოითხოვს უცხოპლანეტელთაგან, და არ ეცოდინება, რომ ეს „უცხოპლანეტელები“ ისევ და ისევ დაცემული ანგელოზები, ანუ დემონები არიან. აღნიშნულის შესახებ, გვაფრთხილებდნენ ძველი წმიდა მამებიც, მაგალითად, ღირსი ეფრემ ასურელი, რომელიც თავის ჰომილიაში „ანტიქრისტეს, სამყაროს აღსასრულისა და უფლის მეორედ მოსვლის შესახებ“ ბრძანებს: „დიდი იქნება განსაცდელი იმ ჟამს, საყვარელნო, განსაკუთრებით კი მართალთათვის, როდესაც გველი უდიდესი ძალმოსილებით აღასრულებს ნიშთა და სასწაულთ ცაში; როდესაც საშინელ მოჩვენებებში გამოაჩენს თავს საჰაერო სივრცეში და ღმერთს მიამსგავსებს თავს, უმეტესი დამაჯერებლობისთვის ჰაერშიაც კი გაივლის და დემონები, ანგელოზთა მსგავსად, ჰაერშივე ამაღლდებიან მტარვალის წინაშე... მაშინ, ძმანო, ნეტარი იქნება ის, ვინც ჩვენი უფლის, იესუ ქრისტესადმი ურყევი სიყვარულითა და რწმენით იქნება გარემოცული. მის სულს მიეცემა მხოლოდ ერთი ნიშანი – წმიდა მობრძანება მხოლოდშობილისა ღმრთის ძისა, და ღმრთისა ჩვენისა იესუ ქრისტესი“.ენოქის წიგნის თანახმად, თვით უფალმა მას უთხრა: „ისმინე! ნუ შეშინდები, ენოქ, შენ ხარ კაცი მართალი და აღმწერელი სიმართლისა, ამიტომაც, ისმინე ჩემი სიტყვა! წადი და ცის დარაჯთ ამცნე, რომელმაც გამოგაგზავნეს ჩემთან სათხოვრად: თქვენ უნდა შუამდგომლობდეთ კაცთ და არა კაცნი თქვენ. რატომ დატოვეთ ზეციერი, წმიდა, მარადიული ზეცა და დაწექით დედაკაცებთან, შეიბილწეთ კაცთა ასულებთან, იქორწინეთ მათზე, ვითარც მიწის მკვიდრნი და ბუმბერაზები გააჩინეთ? იყავით სულიერნი და წმიდანი, ტკბებოდით მარადიული ცხოვრებით თქვენ კი ქალებთან შეიბილწეთ, ხორციელი სისხლით დაჰბადეთ შვილები, ისურვეთ კაცთა სისხლი და წარმოქმენით ხორცი და სისხლი, როგორც ისინი წარმოქმნიან, არიან მოკვდავნი და ხრწნადნი. სწორედ ამიტომ მივეცი მათ ცოლები, რათა გაენაყოფიერებინათ ისინი და მათი მეშვეობით ემრავლებინათ შთამომავლობა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება დედამიწაზე. თქვენკი უპირველეს ყოვლისა იყავით სულიერნი და მოწოდებულნი მარადიული ნეტარებისთვის, უკვდავი ცხოვრებისთვის სამყაროს ყველა მოდგმაში. ამიტომაც არ შეგიქმენით ცოლები, რადგან სულიერთა სამკვიდრო ცაშია. ამიერიდან ბუმბერაზები, რომლებიც სისხლისა და ხორცისგან იშვნენ, დედამიწაზე ბოროტ სულებად იწოდებიან და მიწაზევე იქნება მათი სამკვიდრებელი. ბოროტი არსებები გამოდიან მათი სხეულებიდან; რადგან უზენაესისგან იყვნენ შექმნილნი და მათი დასაბამი წმიდა იყო, დარაჯები (ანგელოზები) მიწაზე ბოროტი სულებად იქცევიან და ეს იქნება მათი სახელი. ზეციურ სულთა სამკვიდრებელი ზეცაშია, ხოლო იმ სულთა სამკვიდრებელი, ვინც დედამიწაზე დაიბადა, მიწაზე იქნება და იმ ბუმბერაზთა სულები, რომლებიც ღრუბლებში აიჭრებიან, დაიღუპებიან, და გადმოგდებულ იქნებიან ციდან. (სიტყვა „ნეფილიმ“ სწორედ „გადმოგდებულს“ ნიშნავს)... ისინი იძალადებენ ადამიანებსა და დედამიწაზე და ათასგვარ უბედურებას მოაწევენ მათ, ბოროტ სულებს არ დასჭირდებათ საკვები, არ მოსწყურდებათ და კაცთათვის უხილავნი იქნებიან. იმ დღეს, როდესაც დაისჯებიან და წარწყმდებიან ბუმბერაზები, მხოლოდ მათი სულები გამოვლენ სხეულებიდან, მათი ხორცი კი სამსჯავროს გარეშე მიეცემა ხრწნილებას, ასე იქნება მანამ, სანამ დიადი სამსჯავრო არ დადგება და ღმრთის სამართალი არ მოიწევს დარაჯებსა და ადამიანებზე. წადი და უთხარი დარაჯთ, რომლებიც ადრე ცაში ცხოვრობდნენ და რომლებმაც ჩემთან გამოგაგზავნეს შუამდგომელად, უთხარი მათ: „ცაში ცხოვრობდით და თუმც დაფარულ საგანთაგან მრავალი რამ ჯერაც არ გაგცხადებოდათ, უმცირესიღა შეიმეცნეთ და ისიც თქვენს გულქვა ცოლებს აუწყეთ; ამ საიდუმლოს მეშვეობით კი ცოლებმა უამრავი ბოროტება მიაყენეს თავიანთ ქმრებს“. უთხარი მათ: „არ არსებობს თქვენთვის მშვიდობა“. მოკლედ, ენოქის წიგნს თუ დავუჯერებთ, გამოდის, რომ ახლა დედამიწაზე (ისევე როგორც კაცობრიობის წარღვნის შემდგომ ისტორიაში) ბინადრობენ და ბოროტმოქმედებენ უხილავი ბოროტი სულები (დემონები), – გამოდის, რომ სწორედ ისინი ყოფილან წარღვნამდელ ბუმბერაზთა სულები. იქნებ სწორედ მათ უწოდებს მოციქული პავლე „ცისქვეშეთის ბოროტ სულებს“? წარმართთა ღმერთებიც ხომ (მაგალითად ტიტანები ბერძნული მითოლოგიიდან), ბუმბერაზი კაცები იყვნენ, რომელთაც წარმართები აღმერთებდნენ (კერპთაყვანისმცემლობა), სინამდვილეში კი დაცემული ანგელოზები, დემონები არიან. იქნებ სწორედ ამ დაცემულ სულებს უნდათ დღეს ჩვენს სამყაროში შემოსვლა, რომლებიც ხან უცხოპლანეტელთა, ხან კიდევ უმაღლესი რასის სახელით მოდიან ვითომცდა პარალელური სამყაროებიდან?საერთოდ, ენოქის წიგნის ვერსიას თუ მივიღებთ, უფრო გასაგები ხდება ძველი მითებისა და ლეგენდების საერთო საფუძველი, რომლებიც ზეციდან ღმერთების გადმოვარდნაზე, ღმერთებს შორის ბრძოლასა (ტიტანების ბრძოლა ოლიმპელ ღმერთთა წინააღმდეგ ბერძნ. მითოლოგიაში), ღმრთის შვილებზე (გიგანტებსა და ციკლოპებზე, ცის შვილებზე, ღმრთის წინააღმდეგ მებრძოლ სულებსა და ადამიან გიგანტებზე მოგვითხრობენ, რომლებსაც ძველად გასაოცარი ნაგებობების აშენება შეეძლოთ (პირამიდები და სხვა) ასევე უფრო გასაგები ხდება „არამიწიერ ცივილიზაციებთან“, „პარალელურ სამყაროებთან“ კონტაქტის მრავალრიცხოვანი თანამედროვე ვერსიისა და შეტყობინების საერთო საფუძველი. მხედველობაში თუ მივიღებთ ენოქის წიგნის ცნობას იმის შესახებ, რომ ბუმბერაზები დედამიწაზე ბოროტ სულებად იქნებიან წოდებულნი, მაშინ შესაძლოა ახლებურად, ანუ უფრო გასაგებად წავიკითხოთ ქვემოთ მოტანილი ცნობის მსგავსი შეტყობინებები:

მართლაც, დღეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარეობს უცხოპლანეტელთა შემოსევის პროექტის ინსცენირება. კაცობრიობას დაჟინებით შთააგონებენ, რომ მის წინააღმდეგ ძალიან მალე შესაძლოა დაიწყოს უცხოპლანეტელთა აგრესია. მაგალითად: „კვლევითი ცენტრის „სეთი„-ის მეცნიერებმა, რომლებიც არამიწიერი ცივილიზაციების ძებნით არიან დაკავებულები, (თითქოსდა) აღმოაჩინეს, რომ დედამიწას უახლოვდება სამი გიგანტური უცხოპლანეტური ხომალდი... ამერიკულმა პრესამ უკვე დაიწყო დედამიწელთა მორალური მზადება უცხოთა შემოსევისთვის... ბრიტანულმა ტაბლოიდმა გამოაქვეყნა სენსაციური სტატია სათაურით „უცხოპლანეტელებმა შესაძლოა კაცობრიობა გაანადგურონ“ მაშასადამე, მალე „სხვა სამყაროებიდან“ „უცხოპლანეტელთა“ არმადა (სინამდვილეში კი დაცემული ანგელოზები და ბოროტი სულები) და „კაცობრიობის მხსნელიც“ გამოჩნდებიან... მსოფლიო წარღვნის აღწერამდე დაბადების წიგნში (სინოდალური თარგმანი ებრაული ტექსტიდან) წერია: „როდესაც ადამიანებმა გამრავლება იწყეს დედამიწაზე და ასულები შეეძინათ, დაინახეს ღვთისშვილებმა („ბენ ელოხიმ“ – არამ.), რომ მშვენიერნი იყვნენ ადამიანთა ასულები და მოჰყავდათ ცოლად, ვისაც ვინ მოეწონებოდა. თქვა უფალმა ღმერთმა: არ დარჩება ჩემი სული ადამიანში საუკუნოდ, რადგან ხორცია იგი. იყოს მისი ხანი ასოცი წელი. ბუმბერაზები (ნეფილიმები) იყვნენ იმ ხანებში ქვეყნად, განსაკუთრებით კი მას მერე (სხვა თარგმანით „მას მერეც, როცა ღვთისშვილები შედიოდნენ ადამიანის ასულებთან“), რომელნიც უშობდნენ მათ. ძლიერები იყვნენ ისინი, ძველთაგანვე სახელოვანი ხალხი“ (დაბ. 6:1–4). სეპტუაგინტას (ანუ ბერძნული ტექსტის) მიხედვით, უფლის სიტყვებს („არ დარჩება ჩემი სული ადამიანში საუკუნოდ...“) აქვს ასეთი სახე: „არ დარჩება ჩემი სული ადამიანში საუკუნოდ, რადგან ხორცია იგი. იყოს მისი ხანი ასოცი წელი“, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ღმრთის ეს სიტყვები მიუთითებს ერთგვარ ამბოხზე, წარღვნამდელი კაცობრიობის ჯანყზე ღმერთ-შემოქმედის წინააღმდეგ; კაცობრიობისა, რომელიც რომელიღაც სატანურ პროექტსა თუ განზრახვაში მონაწილეობდა.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

(გაგრძელება იქნება)

რატომ არ ეშინია ფხენიანს ვაშინგტონის მუქარის?

აღმოსავლეთ აზიაში დაძაბული პოლიტიკური ვითარებით შეშფოთებულია მსოფლიო საზოგადოება. შესაძლო შეიარაღებული დაპირისპირება განსაკუთრებით მეზობელ ქვეყნებს აღელვებთ. ევროპული ქვეყნები, რომლებიც საკუთარი საშინაო პრობლემების მოგვარებით არიან დაკავებული, აშშ-ჩრდილოეთ კორეის დაპირისპირებას რატომღაც გულგრილად უყურებენ, მაგრამ, სავარაუდოდ, სულ ტყუილად, რადგან მოსალოდნელი ომი მსოფლიოს ეკონომიკაზე მძიმე უარყოფით გავლენას მოახდენს.

ჩინეთში გამართული „ბრიქსის“ სამიტის შემდეგ, რომელიც გასული კვირის დასაწყისში დამთავრდა, რუსეთის ქალაქი ვლადივოსტოკი აღმოსავლეთ აზიის ეკონომიკურ ფორუმს მასპინძლობდა, რომელშიც 50 ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის, აშშ-ის კალიფორნიის შტატის გუბერატორიც მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ აზიის წამყვანი ქვეყნების დელეგაციებს ქვეყნის პირველი პირები ხელმძღვანელობდნენ.

ფორუმზე, ეკონომიკურის გარდა, ერთ-ერთი მთავარი საკითხი კორეაში მიმდინარე მოვლენები გახლდათ. ვლადივოსტოკში ჩასვლისთანავე შეხვდნენ რუსეთის პრეზიდენტს იაპონიის პრემიერ-მინისტრი და სამხრეთ კორეის პრეზიდენტი. საუბრის დეტალებზე, ტრადიციულად, არაფერი უთქვამთ, მაგრამ პირდაპირ განაცხადეს, რომ ერთ-ერთ მთავარ საკითხად აშშ-ჩრდილოეთ კორეის საკითხი განიხილეს. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იაპონიის და სამხრეთ კორეის პირველ პირებს საკმაოდ თბილი დამოკიდებულება აქვთ ვლადიმირ პუტინთან.

ბალისტიკური რაკეტების, მით უფრო, ბირთვული იარაღის შექმნას და გამოცდებს რეგიონის ყველა ლიდერი უარყოფითად აფასებს. თუმცა, იქვე აღნიშნავენ, რომ პრობლემის ძალისმიერი მეთოდებით მოგვარება შეუძლებელია. მთავარ პრიორიტეტად დიპლომატიურ მოლაპარაკებას მიიჩნევენ. ამასთან, ქვეყნისთვის დაწესებული სანქციები არ მიაჩნიათ პრობლემის მოგვარების ეფექტურ საშუალებად. „ჩვენი ქვეყნისთვის დაწესებულ ბარბაროსულ სანქციებს სათანადოდ ვუპასუხებთ, თუ დაგჭვირდა, ძალისმიერი მეთოდითაც. ამაზე პასუხისმგებლობა აშშ-ს ეკისრება“, — განაცხადა ჩრდილოეთ კორეის დელეგაციის ხელმძღვანელმა. როგორც ჩანს, ჩრდილოელები რაიმე დათმობაზე წასვლას პირველები არ აპირებენ.

უცნაურია, მაგრამ ამ აზრს ნაწილობრივ იზიარებს რუსეთის პრეზიდენტი პუტინი. „ჩრდილოეთ კორეის მხრიდან ბალისტიკური რაკეტების გამოცდა, თავისთავად, პროვოკაციული ნაბიჯია. თუმცა, მათზე სანქციებით ზეწოლა, კუთხეში მომწყვდევა, დაუშვებელია. სანქციები გამოსავალი არ არის. პირიქით, შეიძლება უარყოფითი შედეგი მივიღოთ. ჩრდილო კორეელები ბალახს შეჭამენ, მაგრამ შეიარაღების გაძლიერებაზე უარს არ იტყვიან. სანქციები გამოსავალი არ არის“, — განაცხადა ბრიფინგზე ვლადიმირ პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტის სიტყვები, შესაძლოა, ბევრმა გადაჭარბებულად, ან სულაც წაქეზებადაც მიიღო, მაგრამ თითქმის ამასვე ამბობენ პოლიტოლოგები, ჟურნალისტები, საერთოდ, ის ადამიანები ვინც კარგად იცნობს ჩრდილოეთ კორეას, ვისაც იქ უცხოვრია ან უმუშავია. ერთ-ერთი პიროვნების მონათხრობით, ჩრდილოეთ კორეაში არასოდეს მალავდნენ იმ ფაქტს, რომ უამრავი მიწისქვეშა ბუნკერი აქვთ და ბირთვული შეტევის შემთხვევაში მოსახლეობა თავს იქ შეაფარებს. იხსენებენ გასული საუკუნის 90-იან წლებს, როდესაც ქვეყანაში ტოტალური გაჭირვება, შიმშილი სუფევდა, ამის მიუხედავად, მუშაობა ნებისმიერ დარგში არავის შეუწყვეტია.

კიდევ ერთი გარემოება, რომელზეც პოლიტოლოგები ყურადღებას ამახვილებენ: მათი თქმით, მენტალობით ჩრდილო და სამხრეთ კორეელები ერთნაირები არიან. უცხოელი, მით უფრო, ჯარისკაცი, რომელიც ერთ-ერთს ებრძვის, ორივე მხარისთვის ერთნაირი მტერია. აქედან გამომდინარე, საომარ შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია, ორივე მხარემ ერთნაირი პოზიცია დაიკავოს. პოლიტოლოგები და ექსპერტები, რომლებიც კარგად იცნობენ კორეელებს, მათთან ომს და ქვეყანაში შეჭრას არავის ურჩევენ. იქვე იმასაც ამბობენ, რომ ჩინელები ნებისმიერ შემთხვევაში კორეელების მხარეს დაიჭერენ.

სამხრეთ კორეის მხარე ვითარების განმუხტვისთვის დიპლომატიურ მოლაპარაკებას ანიჭებს უპირატესობას. თუმცა, აშშ-მა სამხრეთში ჰაერსაწინააღმდეგო დანადგარების კიდევ 4 კომპლექსი განალაგეს. ამ ფაქტმა სამხრეთში მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია და ფართომასშტაბიანი აქციებიც გამართეს, რომელიც პოლიციასთან შეტაკებით დამთავრდა.

სამხედრო ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ჩრდილოელებთან ომი მარტივი სულაც არ იქნება. ფრთოსანი თუ ბალისტიკური რაკეტები მათ ნაკლებად დააზარალებს, რადგან ამისთვის დიდი ხანია, ემზადებიან. რამდენიმე რაკეტის გასროლით არაფერი შეიცვლება და ომი გაჭიანურდება. ამასთან, სამხედრო ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზეც, რომ სამხრეთში 25 ატომური ელექტროსადგური მოქმედებს. ჩრდილოელებს ადვილად შეუძლიათ საარტილერიო დანადგარებით შეუტიონ, რომლებიც ადვილად მისწვდებიან სამხრეთის ნებისმიერ წერტილს. ჰაერსაწინააღმდეგო დანადგარები არტილერიის წინაშე უძლურია. ექსპერტების აზრით, თუნდაც 3–4 ატომური ელექტროსადგურიც რომ დაზიანდეს, სამხრეთ კორეა საცხოვრებლად სრულიად გამოუსადეგარ ტერიტორიად გადაიქცევა. ბირთვული იარაღის გამოყენება ასეთ შემთხვევაში ჩრდილოელებს შეიძლება არც დასჭირდეთ. სწორედ ეს აშინებს კორეის მეზობელ იაპონიას, ჩინეთს, რუსეთს, სადაც, ადვილი შესაძლებელია, შეაღწიოს რადიაციულმა დაბინძურებამ.

საქმეს ართულებს ის გარემოებაც, რომ ჩრდილოეთში არ არსებობს ე.წ. „მეხუთე კოლონა“, ანუ ქვეყანაში არ არიან უცხოელი მზვერავები. აქედან გამომდინარე, სამხედრო ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ომის ბრმად წარმოება, როდესაც ზუსტად არ იცი მოწინააღმდეგის ობიექტების განლაგება, უაზრობაა. თანამგზავრიდან ფოტო-ვიდეო გადაღებას აზრი არ აქვს, რადგან ობიექტები კარგად არის შენიღბული, ხოლო ღამით ჩრდილოეთ კორეა ჩაბნელებულია.

საინტერესოა, რომ ზოგიერთი ევროპელი პოლიტოლოგი, ფაქტობრივად, არ ამტყუნებს ჩრდილოელებს სამხედრო პოტენციალის გაზრდის გამო, რადგან მიიჩნევენ, რომ კორეელები ეროვნულ ინტერესებს იცავენ და გამოსავალს მოლაპარაკებებში ხედავენ.

მძაფრი საომარი რიტორიკა ჯერ-ჯერობით დროებით შეაჩერა აშშ-ზე დატეხილმა ქარიშხლებმა. უამინდობა გადაივლის და ვნახოთ, რას მიიმოქმედებს ორი გაუწონასწორებელი (როგორც აშშ-ის პოლიტოლოგები უწოდებენ) ადამიანი — ტრამპი და კიმ ჩინ ინი. ქარიშხლების გამო მოტანილი ეკონომიკური ზარალიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, აშშ-ს ამისთვის უახლოეს მომავალში არ ეცლება. თუმცა, ვნახოთ...

გია ბურდული
551 71 27 07

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— **როგორია სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი?**

სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად მთლიანად წარმოგიდგენთ საქართველოს შრომის კოდექსის მე–4 მუხლის შინაარსს.

მუხლი 4. სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი და შრომითი ქმედუნარიანობის წარმოშობა

1. ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან.

2. 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა ძალაში რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართაც.

3. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

4. აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად.

5. აკრძალულია არასრულწლოვანთან, ასევე ორსულ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად.

* * *

— **სად და რა წესით ხდება განქორწინების რეგისტრაცია?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1137– ე მუხლის მიხედვით, განქორწინების რეგისტრაცია ხდება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამავე კოდექსის1138-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე განქორწინების რეგისტრაციას ახდენს სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინების რეგისტრაციის შემთხვევაში სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ამის შესახებ აცნობებს მეორე მეუღლეს, თუ ცნობილია მისი და სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მისამართი, რომელმაც მოახდინა ქორწინების რეგისტრაცია.

* * *

— **შეიძლება თუ არა არასრულწლოვანმა სასჯელის მოხდის პერიოდში იმუშაოს?**

— შეიძლება.

— თქვენთვის საინტერესო საკითხს ამომწურავად პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 85-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

მუხლი 85. არასრულწლოვნის მუშაობის შესაძლებლობა

1. არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების უფლება.

2. არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული მუშაობს სწავლისაგან თავისუფალ დროს. ამასთანავე, სწავლისა და მუშაობის დრო არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს.

3. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ადმინისტრაციამ ხელი უნდა შეუწყოს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას. დასაშვებია, არასრულწლოვანმა მსჯავრდებულმა არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების გარეთ იმუშაოს.

4. არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული შეიძლება ასრულებდეს მხოლოდ ისეთ სამუშაოს, რომელიც ხელს შეუწყობს გათავისუფლების შემდეგ მის პროფესიულ მომზადებას და დასაქმებას, აგრეთვე ხელს არ შეუშლის მის მიერ განათლების მიღებას.

5. დაუშვებელია არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმება.

* * *

— **მსურს, ვიშვილო მცირეწლოვანი გოგონა. ყველაფერი მოგვარებული მაქვს. სად, რომელ სასამართლოში უნდა შევიტანო განცხადება?**

— თუ თქვენ ნამდვილად გავლილი გაქვთ სასამართლომდელი ყველა სამართლებრივი პროცედურა, მაშინ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 19[1]-მუხლის მიხედვით, ბავშვის შვილად აყვანის შესახებ სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მშვილებლის ან გასაშვილებელი ბავშვის ადგილსამყოფლის მიხედვით.

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

აცტეკური მითოლოგიაში, ვინმე კოქსკოქსმა მეუღლესთან, ჰოჩიკეცალთან ერთად კვიპაროსის ხისგან ააგო საწყალოსნო გადაადგილების საშუალება და წარღვნას გადარჩენილი მიადგა კულუაკანის მთას – თავისთავად გააზსენდება ადამიანს ნოე და არარატის მთა. ამ მითში საინტერესო გარემოებაა, რომ მათ ბევრი შვილი ჰყავთ, რომელთა უმეტესობას მეტყველება არ შეუძლია, მაგრამ აცტეკთა უზენასაემა ღვთაებამ მათ მტრედი მიუვლინა, რომელსაც ბავშვებისთვის ლაპარაკი უნდა ესწავლებინა. მითის მიხედვით, მხოლოდ თხუთმეტმა შესძლო ამეტყველება…

აცტეკურ მითოლოგიაში წარღვნის შესახებ არის სხვა გადმოცემაც – ერთ-ერთი ტომის უზენაესი ღვთაება ტესკატლიპოკა, იგივე ტიტლაკაუანი ვინმე ნატასა და მის ცოლ ნენას ავალებს ზომალდის აშენებას მოსალოდნელი უბედურების თავიდან ასაცილებლად. რაც შეეხება დანარჩენ მოსახლეობას, ისინი ადიდებულმა ტალღამ შთანთქა და თევზებად გადაიქცნენ;

ინკების მითოლოგიის მიხედვით, წარღვნის დროს სტიქიამ უმაღლეს მწვერვალამდეც მიაღწია და მთელი ხმელეთი წყლით დაიფარა. გადარჩა მხოლოდ ერთი ქალი და ერთი კაცი, რომლებიც „მცურავ ყუთში“ იმყოფებოდნენ. ქარმა ისინი ტიუანაკოსკენ გაიქანა (დღევანდელი ბოლივია), ლეგენდარული მაჩუ-პიჭუსგან დაახლოებით 200 მილის დაშორებით;

რაც შეეხება ჩრდილოეთ ამერიკას, წარღვნის შესახებ მითი ამ კონტინენტის თითქმის ყველა ხალხს აქვს. ტლინგიტური (სამხრეთ ალასკის სანაპირო) ლეგენდის მიხედვით, ადამიანები გიგანტური კოდობნის მეშვეობით გადაურჩნენ წარღვნას, რომელიც შემდეგ კლდეს შეასკდა და ხალხი ორ ნაწილად გაიყო. კიდობნის გახლეჩამ მსოფლიოში ენების მრავალფეროვნება განაპირობა;

სკანდინავიური თქმულების მიხედვით, ღმერთმა ოდინმა და მისმა ძმებმა დაამარცხეს ყინული გიგანტიც იმირი, იგივე აურგელმირი (სამყაროს შემქმნელი, უძველესი გოლიათი). მას ჭრილობებიდან სისხლი წამოუვიდა და მთელ მსოფლიოს მოედო. სისხლმა ყველა ადამიანი დაახრჩო გარდა ბერგელმირისა, რომელმაც ცოლ-შვილთან ერთად ნავით თავს უშველა. რაც შეეხება თვით გიგანტს, მისი სხეულის ნაწილებისგან ძმებმა სამყარო შექმნეს;

აფრიკაში მცხოვრები პიგმეების ტომის ლეგენდის მიხედვით, ქამელეონს ხიდან უცნაური ხმა მოესმა. მან ხე გამოჭრა, საიდანაც წყლის ნიაღვარი გამოვარდა და მთელი მსოფლიო დაფარა. პირველი ადამიანის წყვილი წყალთან ერთად წარმოიშვა;

ავსტრალიური მითოლოგია საკმაოდ მდიდარია ლეგენდარული გადმოცემებით წარღვნის შესახებ. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, სამყაროს შემნელი ბუნჯილი განარისხა ადამიანების ცოდვილმა ცხოვრებამ და მათ ანონიქრებული ოკეანე მოუვლინა. წარღვნას მხოლოდ ისინი გადაურჩნენ, ვინც ღვთაებას ყველაზე მეტად უყვარდა. სამყაროს შემქმნელმა ისინი ცაში აიტაცა და ვარსკვლავებად აქცია. მხოლოდ ერთი კაცი და ქალი დარჩნენ დედამიწაზე რომლებიც მთაში, ხეზე იყვნენ ამძვრალები და ოკეანემ ვერ მიაღწია იქამდე. შემდგომში მათ დაუდეს საფუძველი ადამიანთა მოდგმას;

ახალ ზელანიაში მაორის ხალხის მითების მიხედვით, ხალხმა უარჰყო უზენაესი ღვთაების, ტანეს მოძღვრებები, რის გამოც სასტიკად დაისაჯნენ. წყლის რისხვას მხოლოდ ორი მამაკაცი და ორი ქალი გადაურჩნენ რომლებიც ბორანზე იყვნენ. ნიშანდობლივია, რომ ბორანზე ცხოველებიც იყვნენ;

საინტერესოა პალაური გადმოცემა, რომლის მიხედვით, წარღვნას ტივით გაასწრო მოხუცმა ქალმა. მან მთაზე იმშობიარა და საფუძველი დაუდო მთელ კაცობრიობას;

ჰავაის კუნძულზე მცხოვრები ხალხების მითოლოგიაში ჩანს გმირი ნუ“უ, რომლის სახელიც ნოეს მოგვაგონებს და ისტორიაც მსგავსია – როდესაც სტიქია მინელდა, იგი ცოლ-შვილთან ერთად ზომალდით მიადგა მაუნაკეას მთას. ეს ადგილი ჰავაის კუნძულებზე დღესაც წმინდა ადგილადაა მიჩნეული;

ინდურ ლეგენდებში მოქმედი პირი მანუა. მან იპოვა პატარა თევზი, რომელმაც დიდი თევზებისგან დაცვა სთხოვა და მანუც დათანხმდა. დროთა განმავლობაში თევზი გაიზარდა და ერთხელაც, გააფრთხილა რომ მოსალოდნელი წარღვნისგან გადასარჩენად ზომალდი აეგო. მანუმ თევზს დაუჯერა, ააგო ზომალდი და თევზს გამოაბა, თევზმა კი ზომალდი ერთ-ერთი მთისკენ გაქანა. მანუც და ზომალდზე მყოფი ცხოველებიც წარღვნას გადაურჩნენ;

ჩინურ გადმოცემებში წარღვნის შესახებ გვხვდება სახელი „ნუა“ ან „ნიუია“, რაც კვლავ ნოეს გვაგონებს. ნოე, „ჰავაელი ნუ“უ“ ან ნუა, ამ სახელებისა და წარღვნისგან გადარჩენის ისტორიების დამთხვევა ძალაუნებურად იძლევა საკითხის წამოჭრის საფუძველს.

ლეგენდები წარღვნასა და გადარჩენილ „ვიღაცებზე“ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში სხვადასხვანაირადაა გაფანტული, მაგრამ ძირითადი არსით ძალიან მსგავსია, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ ერთი პირის პროტოტიპი იყოს – ყველა მინუს ერთი.

მეცნიერებაში დღემდე განიხილება მოსაზრება, რომ დედამიწაზე არსებობდა პანგეა, გერმანელი სწავლულის ალფრედ ვეგენერის სიტყვებით რომ ვთქვათ, გონდვანას სუპერკონტინენტი, რომელიც ტექტონიკური ფილების დაცურების შედეგად შუაზე გაიხლიჩა. ქრისტიანული ტრადიციის თანახმად, წარღვნა მოხდა მთელი პლანეტის მასშტაბით, რასაც მეცნიერები არ იზიარებენ და თვლიან, რომ წარღვნა ლოკალური იყო. ასეა თუ ისე, ყველა შემთხვევაში აუხსნელია როგორ მოხდა, რომ დაწყებული ლათინური ამერიკიდან, დამთავრებული აზია-ავსტრალიის ხალხებით, ყველას აქვს სემორჩენილი ბუნდოვანი ინფორმაცია წარღვნის შესახებ და ვინ იყვნენ ნოე იქნება, დევკალიონი, ნუა თუ ნუ“უ და ა.შ? ვარაუდი უამრავია, მაგრამ…

სხვათაშორის, დიდად არავის მიუქცევია ყურადღება იმისთვის, რომ გასული ათასწლეულების ძლიერი ავტორები მიგვანიშნებენ საკვირველებას – არქაულ ეპოქაში მზე, როგორც მზე, არ არსებობდა, თუმცა სრულიად სივრცე როგორიღაც კაშკაშა ენერგიით ყოფილა განათებული. ამით იწყება ბიბლიის „ძველი აღთქმაც“.

მოსე წინასწარმეტყველის თხრობის ქრონოლოგიას რომ დავაკვირდეთ, მზე იქმნება სამყაროს შესაქმის მეოთხე დღეს, მაგრამ მანამდე ხომ უკუნი არ იყო, არსებობდა რაღაც ნათება. რა ნათებაზეა საუბარი? რა ასხივებდა მანამდე სამყაროს სრულ სივრცეს? იქნებ, მატერიალური ყოფიერების საწყის ეპოქებში თვით სამყარო იყო თვითმნათი?

ძველინდური სასულიერო ტექსტები გვასწავლიან, რომ სამყაროს არსებობის მანძილზე ძირითადად ოთხი „იუგა“, მდგომარეობაა დაფიქსირებული: 1. „სატია-იუგა“ – პირველადელი, ყველაზე განათებული ეპოქა 2. „ტრეტა-იუგა“ – ოდნავ შემუქებული სამყარო 3. „დვაპარა-იუგა“ – საგრძნობლად ჩამუქებული კოსმოსი 4. კალი-იუგა“ – ჩვენი დრო„ როდესაც არ აქვს მნიშვნელობა თვახილული იქნები თუ არა, ცხვირწინაც კი არაფერი ჩანს უკვე. (5000 წლის წიგნი „ბჰაგავადგიტა“). დროის ბიბლიისეული ქრონოლოგიით, დაახლოებით 7000 წლით უკან ადამ და ევა არ კვდებიან, მაგრამ რატომ? განა რა ხდება დედამიწაზე იმ პერიოდში ისეთი, თუნდაც ერთ კონკრეტულ არეალში, ედემსა თუ სამოთხეში, რომ არ კვდებიან?

როგორც ჩანს, იმიტომ, რომ ისტორიამდელ ეპოქაში „სატია-იუგა“, ანუ პირვანდელი, სამყაროს ყველაზე გაკაშკაშებული მდგომარეობაა დავანებული და ამიტომ არც კვდებიან. კოსმოსში ჩამობნელებისთანავე თქვა ღმერთმა ადამიანის მიმართ: „და იყვნენ დღენი მათნი ასოც წელ“ („შესაქმესაი“ 6–3)

დავაკვირდეთ – ნებისმიერი ჩვენგანის ბავშვობა, ადრინდელი წლები უფრო ამაღლებულია ზნეობრივად, ვიდრე მოცემულ დროს. ყველა ეპოქის გონიერი ადამიანი ამჩნევდა, რომ სიცოცხლე დაავადდა და დამოკლდა. ჩვენს პლანეტას ნელ-ნელა მოაკლდა ძალზე შორეული წარსულის ზესინათლე. ადამიანს იმიტომ სიამოვნებს დღეს ძველი ხელნაწერებისა თუ ისტორიული ამბების კითხვა, ზოგადად წარსული ძიება, რომ ამ მომენტში გასულ ეპოქებში არსებულ ზესინათლესთან მყარდება ქვეცნობიერი კონტაქტი.

„კალი-იუგას“ ანუ ჩაბნელებული კოსმოსის ერთ-ერთი თვისებაა მეხსიერების დაქვეითება. ამიტომ ვეღარ ვიხსენებთ ვინ არის ღმერთი; სად არის; რას ნიშნავს უფალი; რატომ ააგეს პირამიდები; საიდან ანათებს ელვა და ა.შ უწინ სცოდნიათ, რომ რაც მეტად ჩაბნელდებოდა კოსმიური სამყარო, მომდევნო თაობები მითუფრო ვეღარ გავიხსენებდით შორეული წარსულის ჭეშმარიტ ცოდნას. ამის გამო, უძველესი ადამიანი იძულებული გახდა შეექმნა დამწერლობა და სხვადასხვა მასალაზე (თიხის ფილები, ეტრატი, ქვა და ა.შ) გადაენახა მასზე ძველთა ნააზრევი – ჩვენ კი წიგნის დაბადება ადამიანის განვითარების ერთ-ერთი საფეხური გვგონია…

ოდესღაც, არსით დიდი ყოფილა ადამიანი, მაგრამ როცა აზრების შორ მანძილზე გადატანის უნარი დაკარგა, ტელეფონის ჩათვლით, ყველა საშუალება გამოიგონა რაც შეძლო; როდესაც მზერით ვეღარ შეძლო სიმძიმეების აწევა, სამშენებლო ტექნიკა გამოიგონა; როდესაც შორეული კოსმოსის ხილვის ნოსტალგია ძალზედ მოეძალა, კოსმოსური ხილვის ხელსაწყოები გამოიგონა და ა.შ ვთქვათ, ბატონი გივი ალაზნისპირელის ხედვები რაიმე ლოგიკას მოკლებულია?

ყველა მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება…

ბრია - ჯავახეთი

მეგალითის ხანის ნაგებობები

საქართველოში მეგალითურ (მეგა – დიდი, ლითი – ქვა) ნაგებობებს დევების ნასახლარებად, ქვაკაცებად მოიხსენიებენ. ევროპაში არსებული მეგალითები ძირითადად ნეოლითისა და ბრინჯაოს ხანით (ძვ .წ. III–II ათასწლეულით) თარიღდება. ინგლისის მეგალითები განეკუთვნება ნეოლითის ხანას.

მეგალითების დანიშნულება ყოველთვის არ არის გარკვეული, თუმცა ტერმინი „მეგალითური“ თითქმის ყოველთვის იგივდება ტერმინ „ციკლოპურთან“, რაც ბერძნულ მითებში მოხსენიებულ ციკლოპებიდან და მათ მიერ აგებული ქალაქებიდან მოდის. მეგალითები გავრცელებულია მთელ მსოფლიოში და უმთავრესად ზღვისპირა რაიონებში, გარდა ავსტრალიისა.

ძალზე ცოტა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც NASA-ს პრეს-მდივანმა ტრიშ ჩამბერსონმა სენსაციური რამ განაცხადა საქვეყნოდ, თუმცა ამ განცხადებას დიდი ხანი ელოდნენ უფოლოგები. NASA-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უცხო პლანეტების ცივილიზაციები ნამდვილად არსებობენ და დღევანდელობაში მათ ოთხ რასასთან აქვთ კონტაქტი. პრეს-მდივნის სიტყვები დაადასტურა გამომცემლობამ „ჭატერფორდ Whispers News“. ნაციონალური სააგენტოს წარმომადგენლის თქმით, ისეთი და იმდენი რაოდენობის მხატვრული და დოკუმენტური ფილმი და სატელევიზიო პროგრამებია უცხო პლანეტების წარმომადგენლებზე, მათ ჩათვალეს, რომ ისედაც უკვე ყველამ იცის მათ შესახებ და არიარებას არარფერი ედგა წინ. გარდა ამისა, ჩამბერსონმა შოკირებულ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ უცხო ცივილიზაციის წარმომადგენლები ათასობით წელია დედამიწას სტუმრობენ და დედამიწელებს „მოკითხვა“ გადმოსცეს. „როგორ ფიქრობთ, ვინ ააგო უძველესი პირამიდები და სხვა მეგალითური ნაგებობები მტელ მსოფლიოში?

(გაგრძელება იქნება)

ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

„საერთო გაზეთის“ N32 ნომერში, გაზეთის ბოლო გვერდზე, სტატიაში „ივერონი – ხინკლის სახლი“ – სახალხო ადგილი თბილისში“, სამწუხაროდ, გაიპარა ტექნიკური ხასიათის ორი შეცდომა. სტატია გასწორებული სახით შეგიძლიათ იხილოთ „საერთო გაზეთის“ საიტზე www.saertogazeti.ge